

ივერიის ღმრთისმშობლის ხატი

სარჩევი:

- ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი – ივერიისა და ათონის მთის მფარველი
- ათონის ივერთა მონასტერი
- გადმოცემა ივერიის ღმრთისმშობლის ხატის შესახებ
- ივერიის ღმრთისმშობლის ხატის სასწაულები
- ივერთა მონასტრის საკვირველთმოქმედი კანდელი
- ივერიის ღმრთისმშობლის მონრეალის მირონმდინარე ხატი
- ივერიის ღმრთისმშობლის ხატი რუსეთსა და მართლმადიდებლურ სამყაროში
- ივერიის ღმრთისმშობლის ხატი საქართველოსა და სრულიად კავკასიაში

ყოველწმიდა ღმრთისმშობელი – ივერიისა და ათონის მთის მფარველი

შენი მეუფება განემტკიცების იქ

საეპლესიო გადმოცემით დედამიწაზე არსებობს ყოველწმიდა ღმრთისმშობლის განსაკუთრებული მზრუნველობის ქვეშ მყოფი კუთხეები – მსოფლიოში მისი წილხვედრი ადგილები. პირველი მათგანი ღმრთისმშობელმა მიიღო მაცხოვრის ამაღლების შემდეგ, როდესაც წმიდა მოციქულები შეიკრიბნენ სიონის მთაზე იერუსალიმში და უფლის სიტყვისაებრ მოელოდნენ ნუგეშინისმცემელს – სული წმიდას. ქრისტეს მოწაფეებმა განიზრახეს წილი ეყარათ, თუ ვის რომელ ქვეყანაში ექადაგა სახარება. ქალწულმა მარიამმა უთხრა მოციქულთ: "მეც მნებავს თქვენთან ერთად ვიყარო წილი. დაე მეც მერგოს ქვეყანა, რომელსაც მიმითითებს უფალი". მოციქულებმა კრძალულებითა და ღმრთის შიშით ჰყარეს წილი და ღმრთისმშობელს წილად ხვდა ივერია, ანუ საქართველო. ყოველდღეობაში სიხარულით მიიღო თავისი ხვედრი და სული წმიდის გარდამოსვლისთანავე ისურვა წამოსულიყო ივერთა ქვეყანაში, მაგრამ უფლის ანგელოზი გამოეცხადა მას და უთხრა: "აწ ნუ განემორები იერუსალიმს, წილხდომილი შენი ქვეყანა განათლდების მომავალში, შენი მეუფება განემტკიცების იქ. მცირე ხნის შემდეგ შენ ღმრთის სიტყვა უნდა ახარო იმ მიწას, სადაც მიგიყვანს უფალი". მაშინ ქალწულმა მარიამმა უხმო ანდრია მოციქულს და გადასცა თავისი ხელთუქმნელი ხატი ივერიის საკურთხებლად. ამის შესახებ ცნობები შემონახულია ქართულ და რუსულ მატეანებში, ნიკონ შავთელის ისტორიაში. საქართველოს ღმრთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას უწოდებდა ბოლო ქამის უდიდესი წმიდანი სერაფიმე საროველიც, რომელსაც სიცოცხლეში არაერთხელ გამოეცხადა ზეციური დედოფალი.

წმიდა მამების განმარტებით ზეციური ეკლესია მონაწილეა მსოფლიოს ხალხებისათვის ღმრთაებრივ განგებულებაში და ყოველ ხალხსა და ტომს თავისი მფარველი ანგელოზი ჰყავს, რომელიც დედამიწაზე მცხოვრები ერის მეოხია ღმრთის წინაშე. "საქართველოს მფარველი ანგელოზი, – წერს არქიმანდრიტი რაფაელი, – თვით ზეციური დედოფალია. ეს უდიდესი წყალობაა, მაგრამ მიწიერ ცხოვრებაში ეს არის უფლის მოწოდება დვაწლისა და თავგანწირვისაკენ. ღმრთის სიყვარული განისაზღვრება განსაცდელთა დათმენით, რომელთა შესახებ უფალმა უთხრა მოციქულებს: "სასმელს, რომელსაც მე ვსვამ, თქვენც შესვამთ". ღმრთისმშობლის ცხოვრება იყო ღმრთისადმი უსიტყვო სამსახური, იყო ჯვარი და ტანჯვა, სულიერი გოლგოთა. საქართველოს ეკლესიის ისტორიული გზა – მოწამებობრივი გზაა მრავალსაუკუნოვანი ბრძოლისა მართლმადიდებლობისათვის წარმართულ და მუსულმანურ სამყაროსთან. საქართველოს ისტორია წიგნია წამებულთა სისხლითა და წმიდა მამათა ცრემლით ნაწერი, განათებული ხანძართა მეწამული ალითა და ბრძოლათა თვალისმომჭრელი ელვარებით. იყო დრო, როცა საქართველო წარმოადგენდა კუნძულს აბოლოქრებულ უცხოოჯულოვან ზღვაში, რომელიც ხმაურითა და ღრიალით ეხეთქებოდა მის ნაპირებს და მთასავით უზარმაზარი, სისხლით აქაფებული ზვირთები ასკდებოდა მას. გარდაუვალი მოჩანდა საქართველოს სამუდამო დანთქმა მძვინვარე და შავბნელ მორევში, მაგრამ ზეციური დედოფლის მოწყალება არ ტოვებდა მას, მისი ნათელი ომოფორი იფარავდა საქართველოს ეკლესიას... საქართველომ აირეკლა საუკუნეთა ქარცეცხლი და დაიცვა როგორც გული თავისი – სახელი ქრისტესი და როგორც სული თავისი – მართლმადიდებლობა".

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დამაარსებელია უფლის მოციქული ანდრია პირველწოდებული, რომელმაც ყოველწმიდა ღმრთისმშობლის ღოცვა-კურთხევით იქადაგა სახარება

საქართველოში, კერძოდ აჭარაში, ოსეთსა და აფხაზეთში. მასთან ერთად ივერიის მკვიდრთ დმრთის სიტყვა ახარეს წმიდა მოციქულებმა სვიმონ კანანელმა, მატათამ და ბართლომემ. სვიმონმა ჯვარზე ტანჯვა-წამებით სიკვდილი დაითმინა აფხაზეთში, ქალაქ ნიკოფსიაში, მსგავსად ჩვენი უფლის იესო ქრისტესი და იქვეა დაკრძალული. აჭარაში, გონიოს ციხე-სიმაგრეში კი არის საფლავი წმიდისა მატათასი, რომელმაც ქრისტიანობაზე მოაქცია აფხაზები და სვანები. რაც შეეხება ბართლომე მოციქულს, მან იქადაგა სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოში.

თუ მოიტან, ნეტარ ვიქნებით

mociquTa მოსვლამდე საქართველოში შემობრძანდა უდიდესი სიწმინდე – იესო ქრისტეს კვართი. გადმოცემით იგი ყოვლადწმიდა დმრთისმშობლის ხელით არის მოქსოვილი. ქალწულ მარიამს გული უგრძობდა, რომ მომავალში მის ძეს წამება ელოდა; ხშირად ტიროდა და ცრემლით აღტობდა კვართის წითელ ქსოვილს. ეს პერანგი იესოს ბავშვობიდან ჯვარცმის დღემდე ეცვა და მასთან ერთად იზრდებოდა ცოცხალ არსებასავით. თაბორზე ფერისცვალებისას უფლის კვართი ცეცხლის ალივით ანათებდა და თოვლივით განსპეტაკდა. გეთსამანიიდან გოლგოთისკენ მიმავალ ვხაზე იგი მაცხოვრის ჭრილობებიდან გამონაჟონი სისხლით იჟღინთებოდა. უფლის კვართის ამბავი დაკავშირებულია ივერიის ეკლესიის პირველი წმიდანის, მცხეთელი ებრაელის ელიოზის დის, ნეტარი სიდონიას სახელთან. სიდონიას არ ეხილა ქრისტე, მაგრამ შეიყვარა იგი – სოფლის მაცხოვარი და მესია, თავისი გულის მთელი ძალით, როგორც ერთ-ერთმა მენელსაცხებლე დედამ. და როდესაც მისი ძმა იერუსალიმში გაემგზავრა უფლის ჯვარცმის წელიწადს, დმრთისმომშიში ქალწული შეევედრა მას: "ძმავო სასურველო, შენ ღირსი შეიქნები იმ მართალი კაცის ხილვისა, რომელსაც ჰქვია იესო. ნეტარი ხარ და გევედრები, წამომიდე რაიმე ისეთი, რასაც მისი წმიდა ხელი ან მისი სამოსელი შეჭხებია, თუ მოიტან, ნეტარ ვიქნებით". უფლის ჯვარცმისას ელიოზი გოლგოთაზე იდგა. როდესაც აღსრულდა მაცხოვრის ვნება და წილი ჰყარეს მის ტანისამოსზე, უფლის კვართი ელიოზმა გამოისყიდა რომაელი მეომრებისგან და როგორც ფასდაუდებელი საუნჯე ჩამოიტანა მცხეთაში. სიდონია ძმას ქალაქის კარიბჭესთან მიეგება. "აჰა, რომლისა იგი გსუროდა, მიიღე კვართი მისი", – უთხრა ძმამ. სიდონიამ გულში ჩაიკრა პერანგი, მწუხარებით ამოიკვნესა და უმაღ სული განუტევა.

უამრავი ხალხი შეიკრიბა ამ უცხო სასწაულის გამო. მის შესახებ მეფე ადერკიმაც გაიგო. მან ისურვა კვართის აღება, რათა თავად შემოსილიყო, მაგრამ ვერაფერ შეძლო მკვდარი ასულისთვის მკლავები გაეხსნა. ელიოზმა საყვარელი და წმიდა კვართთან ერთად დაკრძალა სამეფო ბაღში. ქალწულის დაკრძალვის ადგილას მეცხეულად ამოვიდა დიდი კვიპაროსის ხე, რომელიც სამი ასწლეულის მანძილზე იდგა სიდონიას საფლავზე. გავიდა საუკუნეები და უფლის კვართი სიდონიას საფლავთან ერთად დავიწყებას მიეცა, ხოლო თვით კვიპაროსის ხე თავისი საკვირველმოქმედების გამო მოკრძალებული თაყვანისცემის საგანი გახდა.

უფლის კვართი – საქართველოს ეკლესიის ყველაზე დიდი სიწმინდეა. ამ სიწმინდის გამო მცხეთა იწოდება მეორე იერუსალიმად. სვეტიცხოვლის ტაძარი, სადაც წმიდა სიდონიას მკერდზე განისვენებს უფლის კვართი, საქართველოს ეკლესიის გულია. სიტყვა "სიდონია" ფინიკიურ ენაზე ნიშნავს "თევზს". თევზი სიმბოლოა ქრისტიანისა, რადგან წყალში ნათლობით ადამიანი იღებს მარადიულ სიცოცხლეს. არსებობს გადმოცემა, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს სიდონია კვართით ხელში გამოვა მაცხოვრის შესახვედრად, მისი მარადიული სიყვარულის დასტურად.

მარადის ქალწულმა კი გადასცა მას ჯვარი ვაზისა

ganvlo სამმა საუკუნემ, და დადგა ჟამი, როცა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელმა განანათლა თავისი წილხვედრი ქვეყანა წმიდა ნინოს მეოხებით. სული წმიდის სძალმა გამოიჩინა ქალწული, რომელმაც სიყრმიდანვე თავი ღმერთს მიუძღვნა და აკურთხა იგი სამოციქულო დეაწლზე.

წმიდა ნინო წარმოშობით იყო კაპადოკიიდან – ქვეყნიდან, რომელმაც მსოფლიოს აჩუქა უდიდესი წმიდანები. მისი მშობლები იყვნენ ღირსი ზაბულონი და ღირსი სოსანა. გადმოცემით იგი წმიდა დიდმოწამე გიორგის – საქართველოს მფარველი წმიდანის ახლო ნათესავი იყო. და ძმის საქმის ღირსეული გამგრძელებელი შეიქნა. ქალწულის მთელი ცხოვრება იყო უსისხლო მოწამეობა და განუწყვეტელი ბრძოლა ჯოჯოხეთის ძალებთან. როგორც წმიდა გიორგიმ შემუსრა ურჩხული და სიკვდილისაგან იხსნა მეფის ასული, ისე წმიდა ნინომ ღმრთისმშობლის ჯვრით დაამარცხა კერპთაყვანისმცემლობა ივერიაში და ეშმაკის პირს გამოჰგლიჯა ქართლი და კახეთი. იგი გახდა სულიერი დედა მთელი ქვეყნისა.

ბავშვობის წლებიდან ნინოს სული ანთებული იყო ღმრთისადმი ანგელოზებრივი სიყვარულით, ვითარცა ლამპარი. ქალწული მარიამის მსგავსად იგი ცხოვრობდა ტაძარში, რომლის უხილავ ნათელსა და იდუმალ მდუმარებაში მას ესმოდა მარადისობის ხმა. მისი აღმზრდელი ნიამფორა უამბობდა ნინოს, თუ როგორ წაიღეს უფლის კვართი იერუსალიმიდან მცხეთაში. წმიდა ნინომ მოისურვა წასულიყო იმ ქვეყანაში, სადაც განისვენებდა ეს დიდი სიწმინდე, მოენახა სიღონიას საფლავი, თავყანი ეცა ქრისტეს შესამოსელისათვის და ექადაგა ჭეშმარიტი სარწმუნოება საქართველოს მკვიდრთათვის. უფალი არაერთხელ გამოეცხადა წმიდა ნინოს და აკურთხა სამოციქულო მსახურებაზე, მარადის ქალწულმა კი გადასცა მას ჯვარი ვაზისა. ვაზი განასახიერებს სახარების სწავლებას. ვაზი სიმბოლოა მაცხოვრის სისხლით გავსილი ექქარისტული ბარძიმისა და წმიდანთა სისხლით პირთამდე სავსე მოწამეობის თასისა.

თბილისში, სიონის საკათედრო ტაძარში, ინახება წმიდა ნინოს თმებით გადახვეული ჯვარი ვაზისა. დროთა მანძილზე ვაზის ტოტები მოიხარა, თითქოსდა იმ სიმძიმის ქვეშ, რომელიც საქართველოს ეკლესიას ეტვირთა ჯვარის ხილულ და უხილავ მტრებთან მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში. იერუსალიმის პატრიარქის იუბენალის ლოცვა-კურთხევით ქალწული ნინო პირველად რომში გაემგზავრა იმ დროს ჯერ კიდევ მოუნათლავი წმიდა მოციქულთასწორი დედოფალი ელენეს ჭეშმარიტ რწმენაში განსამტკიცებლად. ნინო სიკვდილს პირისპირ შეხვდა სომხეთში, როცა თრდატ მეფის მსახურებმა უმოწყალოდ დახოცეს მისი სულიერი დები. მაგრამ უფალი მოწამეობრივი გვირგვინის ნაცვლად უმზადებდა მას სხვა – მოციქულის უბრწევინვალეს გვირგვინს. როდესაც ჰეროდეს რისხვას განრიდებული ყოვლადწმიდა მარიამი ყრმა იესოსთან ერთად მოვიდა ეგვიპტეში, მემფისის ტაძარში აღმართული კერპები დაემხო. ამის მსგავსად, ივერიის დედაქალაქ მცხეთაში, უფლის ფერისცვალების დღესასწაულზე, წმიდა ნინოს ლოცვით განადგურდა კერპები. ამით დაიწყო წარმართობის დაცემა.

წმიდა ნინო დასახლდა სამეფო ბაღში მდგომ ღარიბულ ქოხში, სადაც არაფერი იყო ჩაღის საგების გარდა, რომელზეც ქალწული ლოცულობდა და ეძინა. მასთან მოდიოდნენ მცხეთისა და ახლომდებარე სოფლების მკვიდრნი, რათა მოესმინათ მისი ქადაგება ქრისტეზე, ეთხოვათ ლოცვა და სულიერი შეწევნა. მასთან მოჰყავდათ სნეულნი და ქალწული კურნავდა მათ ლოცვითა და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ჯვრის დადებით. გადიოდა ხანი და სულ უფრო მეტი ქართველი მოექცეოდა ქრისტეს რჯულზე. მათ შორის იყო ქართლის დედოფალი ნანაც, რომელიც წმიდა ნი-

ნოს ლოცვით განიკურნა უკურნებელი სენისაგან. მირიან მეფემ ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ გადაწყვიტა, სიკვდილით დაესაჯა წმიდა ნინო და ყველა ახლადმოქცეული ქრისტიანი; ეშმაკის შთაგონებით ამას განიზრახვიდა მირიანი, როცა ერთხელ შუადღისას სანადიროდ გასულს დაუბნელდა მზე და შეიქნა უკუნი ღამე, "და იარებოდა მთათა და მადნართა შეშინებული და შეძრწუნებული". მაშინ სასოწარკვეთილმა მირიანმა შეჰღაღადა წმიდა ნინოს ღმერთს და მეყსეულად გამოუბრწყინდა ნათელი. გარდამოხდა მეფე ცხენიდან, აღიპყრა ხელები აღმოსავლეთით და თქვა: "შენ ხარ ღმერთი ყოველთა ზედა ღმერთთა და უფალი ყოველთა ზედა უფალთა, რომელსა ნინო იტყვის. და საქებელ არს სახელი შენი ყოვლისა დაბადებულისაგან ცასა ქვეშე და ქვეყანასა ზედა. რამეთუ შენ მიხსენ მე ჭირისაგან და განმინათლე ბნელი ჩემი. აჰა ესერა, მიცნობიეს, რამეთუ გინდა ხსნა ჩემი, ლხინება და მიახლება შენდა, უფალო კურთხეულო! ამას ადგილსა აღვმართო ძელი ჯვარისა, რომლითა იდიდებოდის სახელი შენი და იხსენებოდის საქმე ესე და სასწაული უკუნისამდე".

326 წელს საქართველოში მირიან მეფის თხოვნით ჩამოვიდა კონსტანტინე დიდის მიერ წარმოგზავნილი სამღვდელთა ეპისკოპოს იოანეს წინამძღოლობით და ჩამოაბრძანა მოციქულთასწორი მეფის ძღვენი ივერიის ეკლესიისადმი: ერთ-ერთი სამსჯავლი ცხოველსმყოფელი ჯვარისა და ძელი ცხოველის ის ნაწილი, რომელზეც ფეხები ჰქონდა მიმსჯავლული მაცხოვარს. არაგვის ანკარა წყლებში, ვითარცა ემბაზში, აღსრულდა საქართველოს ნათლობა. და უფალმა მოიღო წყალობა: "მას ჟამსა შინა, ოდეს იგი პატიოსანი ჯვარი აღმოგვიბრწყინა ქრისტემან ღმერთმან თვისითა მადლითა დედოფლისა ელენეს მიერ, მსგავსადვე მისსა ამას ჟამსა მცხეთას თვისი დაფარული წმიდად სამოსელი გამოაბრწყინვა, რომელსა ზედა სუეტი ნათლისაჲ იხილვებოდა და კურნებანი მრავალნი იქმნებოდეს". საქართველო დაემსგავსა სძაღს, რომელიც იდგა გვირგვინის ქვეშ, შემოსილიყო ქათქათა სამოსლით და ბრწყინავდა ზეციური სიმშვენიერით. მეფე მირიანი და წმიდა ნინო ბერძენ ხუროთმოძღვართა დახმარებით შეუდგნენ ტაძრის აგებას იმ ადგილზე, სადაც სიდონიას მკერდზე, ვითარცა სამეუფო ტახტზე, განისვენებდა მაცხოვრის კვართი.

სწორედ მის შესახებ აუწყა უფლის ანგელოზმა ღმრთისმშობელს

დედამიწაზე ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მეორე წილხვედრ კუთხეს – ათონის მთას ღმრთის ნათელი ასე მოეფინა: ბარნაბა მოციქულის მიერ კვიპროსის ეპისკოპოსად დადგენილ მკვდრეთით აღდგომილ ლაზარეს გულით ჰქონდა მოწადინებული ქალწულ მარიამთან შეხვედრა, რომელიც დიდი ხანია არ ენახა და ძლიერ ენატრებოდა; იერუსალიმში ჩასვლისა კი მას ეშინოდა, რადგან ქრისტიანებს იმ დროს სასტიკად დევნიდნენ. წმიდა ლაზარემ ღმრთისმშობლის ნება-სურვილით გამოგზავნა ხომალდი, რომლითაც ქალწული იოანე მახარებელთან და რამდენიმე მოწაფესთან ერთად კვიპროსზე გაემგზავრა. მოულოდნელად ამოვარდნილმა საპირისპირო ქარმა გემს მიმართულება შეუცვალა და ათონის მთაზე მოიყვანა. გამოცხადებაში სწორედ მის შესახებ აუწყა უფლის ანგელოზმა ღმრთისმშობელს.

ამ ადგილით მოხიბლულმა მარადის ქალწულმა დალოცა იგი და თქვა: "დაე ეს ადგილი იყოს ჩემი წილხვედრი, რომელიც მომეცა ჩემი ძისა და ღმრთისაგან. დაე ღმრთის მადლი იყოს ამ ადგილსა და მასზე რწმენით დამკვიდრებულთა და ჩემი ძის მცნებათა აღმსრულებელთა ზედა. ყოველივე საჭირო ამქვეყნიური ცხოვრებისათვის არ მოაკლდებათ მათ და ჩემი ძისა და ღმრთის

წყალობა დაუშრეტელი იქნება მათდამი სოფლის აღსასრულამდე. მე ვიქნები ამ ადგილის მფარველი და შუამდგომელი ღმრთის წინაშე".

მას შემდეგ უთვალავჯერ დადასტურდა ქალწულის ღმრთაებრივი აღთქმის ჭეშმარიტება. ათონისთვის დედობრივი სიყვარულით მზრუნველი ღმრთისმშობელი ხშირად აშკარად და თვალხილულად ეცხადებოდა მისი დახმარების მთხოვნელთ; ხანაც თავისი წმიდა ხატების მეშვეობით აღსრულებული სასწაულებით გამოხატავდა თავის ზრუნვასა და მფარველობას; უმეტესწილად კი უხილავად და საიდუმლოდ აფრქვევს იგი თავის მადლსა და წყალობას წილხვედრ კუთხეზე და იმათზე, ვინც ღირსი შეიქნა ბერული თავგანწირვის ჯვარი ეტარებინა მის დალოცვილ მიწაზე. იგი მეუფებს მათზე, როგორც დედოფალი ცათა და ქვეყანისა, და ყოველმხრივ შეეწევა, რათა წმიდად და უმანკოდ განვლონ ცხოვრება. ათონის მთაზე ქალებს ეკრძალებათ ფეხის დადგმა. გადმოცემის თანახმად, როცა იმპერატორ იუსტინიანეს მეუღლე თეოდორა ძვირფასი ძღვენით ესტუმრა ათონს, ბერებმა არ შეუშვეს და გაწიბლებული დედოფალი უკანვე გამოაბრუნეს. იმ ადგილას კი, სადაც მან ფეხი დაადგა, ბერებმა კირი მოასხეს და ჯვარი აღმართეს. დღემდე ასეა. წმიდა მთაზე არათუ ქალებს, არამედ მღვდრობითი სქესის ცხოველსაც არ აჭაჭანებენ. ქვეყნის აღსასრულის ერთ-ერთი ნიშანი სწორედ ის იქნება, რომ დაირღვევა ეს საღმრთო განწესება და ქალი შემოვა ათონის წმიდა მიწაზე.

თავად მარადის ქალწულმა მოიყვანა აქ განდევილი ბერები, რომელთაგან პირველი იყო ღირსი პეტრე. ღმრთისმშობელი წმიდა ნიკოლოზთან ერთად გამოეცხადა პეტრეს და მღვდელმთავრის თხოვნაზე, მიეთითებინა პეტრესთვის მოღვაწეობის ადგილი, თქვა: "ღმრთის თავისუფალი მსახურებისათვის არ არსებობს იმაზე უკეთესი ადგილი, ვიდრე ათონის მთაა, რომელიც მე წილად მერგო ჩემი ძისა და ღმრთისაგან. დაე ისინი, ვისაც ჰნებავს განეშოროს წუთისოფლის შფოთსა და საზრუნავს, მოვიდნენ აქ და მშვიდად და დაუბრკოლებლად ემსახურონ ღმერთს. დაე ამიერიდან ეს მთა ჩემს ვენახად იწოდებოდეს. ეს ადგილი ძლიერ მიყვარს და დადგება უამი, როცა იგი ჩრდილოეთით და სამხრეთით გაივსება მოღვაწეთა სიმრავლით. და თუ ისინი მთელი სულით შეუდგებიან ღმერთს და დაიცავენ მის მცნებებს, ჩემი ძის დიდებით მოსვლის დღეს მე დიდი პატივის ღირსს გაეხდი მათ. ჩემი შეწევნა არ მოაკლდებათ მათ ამ ქვეყანაზეც; მე შევემსუბუქებ მათ შრომასა და სწეულებებს და შევეწევი, რათა მცირე სახსრებით დოვლათში იცხოვრონ; მათი მეოხი ვიქნები მტერთან ბრძოლაში და მათ ნაყოფს განვადიდებ მთელს ცისქვეშეთში".

ამავე ხანებში, 680 წელს, VI მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილებით, ქალკედონის ნახევარკუნძულზე მდებარე ათონის მთა საცხოვრებლად გადაეცათ საბერძნეთის არქიპელაგის სხვადასხვა კუნძულზე გაფანტულ ბერებს. კრების გადაწყვეტილება დაამტკიცა იმპერატორმა კონსტანტინე პოგონატმა. განვლო სამმა საუკუნემ და ღმრთის ნებით და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შეწევნით წმიდა მთაზე დამკვიდრდნენ ზეციური დედოფლის წილხვედრი ქვეყნის – ივერიის ძენი და აღაშენეს ქართული სავანე, ათონის ივერთა მონასტრის სახელით ცნობილი, – აღაშენეს, ათონური გადმოცემით, ზუსტად იმ ადგილას, სადაც ღმრთისმშობლის ხომალდი მიადგა წმიდა მთას.

aTonis iverTa monasteri

და იწყეს მიერთგან ქართველთა მოსლვად და განმრავლებად...

iwureboda ქრისტეს შობიდან პირველი ათასწლეული, როცა ღმერთმა საქართველოსა და მთელს მართლმადიდებელ ეკლესიას მიჰმადლა ათონის მთაზე მოღვაწე ხუთი უდიდესი წმიდანი – იოანე და ექვთიმე, გაბრიელ, იოანე თორნიკყოფილი და გიორგი მაშენებელი.

ღირსი მამა იოანე მთაწმიდელი, ერში ვარაზ-ვაჩე ჩორდვანელი, დაიბადა საქართველოში, ტაოს მხარეში. ღმრთისმოშიში და ყოველი სათნოებით შემკული მხედართმთავარი მეფე დავით კურაპალატის ერთგული და თავდადებული მსახური იყო და ითვლებოდა მის პირველ და საუკეთესო მრჩეველად. ქრისტეს სიყვარულით იოანემ მიატოვა წუთისოფელი და ფარულად ოთხთა ეკლესიის ლავრაში შევიდა, სადაც მიიღო მონაზვნობა. ღირსი მამების ლოცვა-კურთხევით მან მცირე აზიაში, ულუმბოს მთაზე განაგრძო მოღვაწეობა და ღმრთის განგებით აქვე მოიყვანა ბიზანტიის იმპერატორთან მძევლად მყოფი თავისი ძე ექვთიმე. მალე ულუმბოს მთაზე მცხოვრებ ბერძენთა და ქართველთა შორის გავრცელდა ამბავი მისი დიდგვაროვანი წარმომავლობის შესახებ და მას განსაკუთრებული პატივით დაუწყეს მოპყრობა. ამ გარემოებამ აიძულა ღირსი იოანე დაეტოვებინა ულუმბოს მთა და ექვთიმესთან და რამდენიმე მოწაფესთან ერთად ათონის მთაზე წასულიყო დედით ქართველ ათანასე დიდთან, რათა მისი ხელმძღვანელობის ქვეშ დაესრულებინა სამონაზვნო ღვაწლი. ეს მოხდა 965 წელს.

წმიდა ათანასეს ლავრაში გულთბილად მიიღეს ღირსი იოანე, რომელიც მრავალი წლის მანძილზე საკვირველი თავმდაბლობით ასრულებდა მასზე დაკისრებულ ყველა მორჩილებას. მცირე ხანში მის კვალს შეუდგა და იოანეს სახელით ბერად აღიკვეცა ცნობილი ქართველი მხედართმთავარი თორნიკე ერისთავი, რომელიც ღირსი იოანეს სიყვარულით ათონზე მოვიდა და ათანასეს ლავრაშივე დამკვიდრდა. ამ ორი ღირსი მამის მოღვაწეობამ ფართოდ გაითქვა სახელი, "და იწყეს მიერთგან ქართველთა მოსლვად და განმრავლებად" ათონზე, ამიტომაც აუცილებელი შეიქნა ქართველთათვის დამოუკიდებელი მონასტრის დაარსება. წმიდა ათანასეს რჩევით ქართველმა ბერებმა დიდი ღავრიდან ერთი მილის დაშორებით იოანე მახარებლის სახელზე ააგეს ეკლესია და სენაკები და "მუნ იყოფებოდეს მრავალ ჟამ ვითარცა ანგელოზნი ღმრთისანი".

976 წელს ბიზანტიის მცირეწლოვან იმპერატორებს ბასილისა და კონსტანტინეს აუჯანყდა მცირე აზიის მმართველი ბარდა სკლიაროსი, რომელმაც ზედიზედ დაამარცხა ხელისუფალთა ჯარები და კონსტანტინოპოლს ალყა შემოარტყა. სასოწარკვეთილმა დედოფალმა გადაწყვიტა, დახმარებისთვის ერთმორწმუნე საქართველოს მეფისთვის მიემართა; ამისთვის მან მალემსრობლი მიაგლინა ათონის მთაზე თორნიკეს დედაქალაქში ჩამოსვლის თხოვნით. თავდაპირველად მტკიცე უარზე იდგა თორნიკყოფილი ბერი იოანე, რამეთუ გულის სიღრმეში უწყოდა, რომ კვლავ ხელში მახვილის აღებას მოსთხოვდნენ ხელისუფალნი. მაგრამ წმიდა ათანასესა და იოანეს დაჟინებულ ვედრებას დაუთმო და დედოფალთან შეხვედრის შემდეგ სამშობლოში გაემგზავრა. დავით კურაპალატმა 12 ათასი რჩეული მხედარი მიაშველა განსაცდელში მყოფ ბიზანტიას და ჯარს თავად თორნიკე დაუდგინა სარდლად. მცირე აზიაში, მდინარე ჰალისის პირას, ქართველთა და ბერძენთა ლაშქარმა "შეწვენითა ქრისტესითა" სასტიკად დაამარცხა მასზე ბევრად მრავალრიცხოვანი სკლიაროსი. ამ ბრძოლის გმირის, ღირსი იოანეს სატურველი: ხმალი, ჩაფხუტი, ჩაჩქანი და მშვილდი დღეს ივერთა სავანის წიგნთსაცავში ინახება, როგორც დიდი სიწმინდე. მადლიერმა

დედოფალმა თეოფანია ქართველთა სარდალს მთელი სამხედრო ნადავლი უბოძა და უხვად დაასახუქრა, რისი წყალობითაც ღირსმა იოანემ და თორნიკემ განასრულეს ათონზე დიდი ქართული მონასტრის მშენებლობა: "ღაღრაჲ ესე დიდებული და ყოვლითა შვენიერებითა შემკული და ყოვლითა სამკაულითა განშვენებული, რომელი-ესე მრავლითა შრომითა და ოფლითა აღაშენეს მათ ნეტართა განსასვენებელად სულთა მრავალთა, რომელსა შინა აღჰმართნეს ეკლესიანი ცათა მობაძავნი და აღავსნეს იგინი წიგნთა მიერ ღმრთივსულიერთა და განაბრწყინვნეს იგინი ხატთა მიერ პატიოსანთა" (გიორგი მთაწმიდელის "იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება"). ქართველმა მამებმა მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს წმიდა მთის სხვა მონასტრებსაც. ათონელთა საძმოს წინაშე მათ დიდ დამსახურებაზე მოწმობს წმიდა ათანასე ათონელის ანდერძი: "იოანე ივერიელი, თავიანთ ივერიელთა ნათესავთათვის მონასტრის აღშენების შემდეგ, არ დასცხრა ქველის საქმედ ჩვენს ღაღრასა ზედა და დიდი ამაგი დასდო მას. შემოსწირა წმიდა ევსტატის კუნძული და ღიმნოსის მამული, რომლიდანაც ყოველწლიურად შემოსდის ოთხმოცი ოქრო ჩვენს ღაღრას. განურჩევლად ყველას ათონის მთის მკვიდრთ აძლევდა დიდ შემწეობას, აშენებდა ტაძრებს, დასაყუდებლებს და ქსენონებს. აწ ვანდობ ჩემის ღაღრის მართვა-გამგებლობას ჩემს შემდეგ და სრულიად ათონის მთის გამგებლობას და პროტოსობას, ხორციელად იოანე ივერიელის შვილს და ჩემს სულიერ შვილს ექვთიმეს, რომელსაც მე ვპოვებ ყოველთა ათონის მთის მამათა შორის უწმინდეს და უდიდებულესად და მის შემდეგ ექვთიმემ უკეთეს ისურვოს მყუდროებით ცხოვრება, ვანდობ ექვთიმემ თავის მაგივრად დაადგინოს მმართველად ღაღრისა სრულიად ათონისა გიორგი ივერიელი და ვთხოვ ღაღრათა ძმათა, რათა ჰქონდეთ ივერიელთა ძმათა მიმართ დიდი სიყვარული და ურთიერთობა" ("მოგზაური", 1903 წ., N 10).

თხუთმეტ წელიწადზე მეტ ხანს (982-998) განაგებდა ღირსი იოანე ივერთა მონასტერს. მან, ვითარცა კეთილმა მწყემსმა, ივერთა საგანეში შემოჰკრიბა ათონზე დამკვიდრებული ქართველნი, ვითარცა ცხოვარნი. გამუდმებული შრომა, მღვიძარებისა და ლოცვის ღვაწლი განასპეტაკებდა მის სულს და აუძღურებდა ხორცს. ღმერთშემოსილი მამა მძიმედ დაავადდა და მრავალი წელი მადლიერებით დაითმენდა სატანჯველს, "მარადის ჰმადლობდა ღმერთსა და ესრეთ მხიარულ იყო სენსა მას ზედა სასტიკსა... ვითარცა პატივსა და ნიჭსა სამეფოსა"; ხოლო ექვთიმე "ჰმსახურებდა უძღურებასა მისსა დღე და ღამე". აღსასრულის წინ ნეტარმა იოანემ დალოცა ძმები და წინამძღვრის კვერთხი თავის ძეს გადასცა. გარდაცვალების შემდეგ მისი პატიოსანი სხეულიდან მადლმოსილი კურნებანი და სულიერი ნუგეში მოედინებოდა.

ადექი, ნუ გეშინია და ქართულად უნაკლოდ ილაპარაკე!

როგორც პირმშო განამრავლებს მშობელთა საუნჯეს, ისე განავრცო და დაამშვენა ღირსმა ექვთიმემ ივერთა მონასტერი. "სახითა მყუდრო, და გონებითა წრფელ, და მდაბალ, და სულითა განათლებულ" ექვთიმე ბერული ცხოვრების მაგალითი იყო ძმებისათვის. "სიწმიდე და ქალწულება შეუხებელი და უბიწოდ დაემარხა, ვითარცა ანგელოზსა ღმრთისასა და ცათა შინა მყოფსა". სიყრმიდან სიკვდილამდე ფარულად რკინის პერანგით შემოსილი ექვთიმე არ აცდენდა არც ერთ ღმრთისმსახურებას ტაძარში და იღუმენის ადგილზე იდგა უძრავად, ვითარცა სვეტი შეურყეველი. ისე არ შევიდოდნენ წინამძღვარი და ძმები ეკლესიაში, სანამ მუხლმოდრეკით თავყანს არ სცემდნენ კარიბჭის ღმრთისმშობელს. წმიდა ცხოვრებისათვის ნეტარ ექვთიმეს ღმრთისგან საკვირველთმოქმედების ნიჭიც მიეცა, რასაც მოწმობს შემდეგი ამბავი: "ერთხელ, ათონური

ჩვეულების თანახმად, მთაზე შეიკრიბნენ მამები, რათა ღამისთევით ლოცვით აღენიშნათ ფერისცვალების დღესასწაული. წირვა-ლოცვას ასრულებდა მამა ექვთიმე სხვა მღვდლებთან ერთად. როდესაც საღმრთო ლიტურგიაზე მან შეაბრძანა ძღვენი, და ძმებმა იგალობეს: "წმიდაო, წმიდაო, წმიდაო უფალო საბაოთ!..." – ღირსი ექვთიმე შეიქნა ცეცხლის სვეტის მსგავსი. იმავ წუთს გაისმა გრგვინვა და იძრა მთა. თავზარდაცემულნი, ყველანი პირქვე დაეცნენ და შიშით ღამის სული განუტყვევს. მამა ექვთიმემ წამოაყენა ძმები და ანუგეშა: "ნუ გეშინინ, ძმანო, რამეთუ მოხედვად საღმრთოდ იქმნა და ქრისტემ თავისი დღესასწაული აღიდა".

სიყრმეში ექვთიმე მძაფრმა სენმა შეიპყრო და სიკვდილს მიეახლა, ისე რომ აღარც სიტყვის თქმა შეეძლო და აღარც ხმის ამოდება. ღირსმა იოანემ დაკარგა მისი გადარჩენის იმედი, ჩავიდა ტაძარში და მხურვალე ცრემლით ევედრა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელს. შემდეგ უხმო მღვდელს, რათა ამოსულიყო და ეზიარებინა მომაკვდავი, და თვითონაც სასწრაფოდ შეიღის სენაკს მიაშურა. "გავადე სენაკის კარი, – იხსენებს ღირსი იოანე, – და შევიგრძენი საკვირველი კეთილსურნელება. რამეთუ მოხედა სნეულს ღმრთისმშობელმა და ვიხილე, ექვთიმე მისი მადლით აღდგომილიყო და იჯდა საწოლზე მრთელი და უვნებელი. შეკრთა ჩემი გონება და ვკითხე მას: "რა არის ეს, შვილო?" მან მომიგო: "ახლახან წარმომიდგა ვინმე დიდებული დედოფალი და მითხრა ქართული ენით: "რა არის, რა გტკივა, ექვთიმე?" ხოლო მე ვუთხარი: "მოვკვდები, დედოფალო!", და ეს რომ ვთქვი, მომიახლოვდა, მომიკიდა ხელი და მითხრა: "არავითარი ვნება შენთან აღარ იქნება, ადეკი, ნუ გეშინია და ქართულად უნაკლოდ ილაპარაკე!" – და აჰა, როგორც მხედავ, სრულებით არაფერი მტკივა". და ამბობდა ხოლმე ნეტარი იოანე, რომ ამ ჟამამდე დიდხანს უცხოობაში ნამყოფი ექვთიმე ძნელად საუბრობდა ქართულად და ფრიად მწუხარე ვიყავი ამის გამო, ხოლო მის შემდეგ შეუწყვეტილ, როგორც წყარო, ამოდის მისი პირიდან ქართული სიტყვა, ყველა ქართველზე უფრო წმიდად. მამამ აკურთხა ძე, შედგომოდა საღმრთო წიგნების ბერძნული ენიდან ქართულზე თარგმნას: "შვილო ჩემო, ქართლისა ქვეყანად დიდად ნაკლულოვან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლიან. და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა. აწ იღვაწე, რადთა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან". და "იგი ვითარცა იყო ყოველსავე ხედა მორჩილ, მოსწრაფედ შეუდგა ბრძანებასა მისსა და იწყო თარგმნად".

წმიდა ექვთიმემ, ვითარცა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიერ აღმოცენებულმა წყარომ, მთელი ქართული მიწა დაარწყულა ზეციური ღვინით. ღმრთისმსახურების შემდეგ, როცა ბერები მიდიოდნენ სენაკებში და მონასტერი ძილში ეფლობოდა, იმ კოშკის ფანჯარა, სადაც ცხოვრობდა ექვთიმე, ანათებდა, როგორც ვარსკვლავი ივერთა სავანის თაგზე; მაგიდაზე თავდახრილი იღუმენი თარგმნიდა წმიდა წერილს და წმიდა მამათა ქმნილებებს ქართულ ენაზე. იგი გრძნობდა ბიბლიის თითოეულ სიტყვას, როგორც ცოცხალ არსებას, და ხედავდა მას სხვადასხვა სულიერ განზომილებებში; მან საღმრთო წერილის ნათელი აღანთო, როგორც უქრობი ცეცხლი ქართული ენის კანდელში. როცა საქართველოს მეფეს დავით კურაპალატს უხილავს მისი თარგმნილი წიგნები, სიხარულით აღვსილა, აღიდებდა ღმერთს და იტყოდა: "მადლი ღმერთსა, რომელმან ჩვენთა ამათ ჟამთა ახალი ოქროპირი გამოაჩინა".

თოთხმეტი წლის განმავლობაში მართავდა ღირსი ექვთიმე ივერთა სავანეს. ამის შემდეგ წმიდა მამების – არსენი ნინოწმიდელი ეპისკოპოსისა და იოანე გრძელისძის ლოცვა-კურთხევით, რომელნი იყვნენ "კაცნი ზეგარდამოდთა მადლითა განათლებულნი და ანგელოსთა მობაძავნი ცხორებითა", მან დაუტევა წინამძღვრობა, სენაკში განმარტოვდა და მთელი არსებით საღმრთო

წიგნების თარგმნას შეუდგა; "დღე და ღამე ტკბილსა მას თაფლსა წიგნთა საღმრთოთასა შურებოდა, რომლისა მიერ დაატკბო ენად ჩვენი და ეკლესიად".

არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი

Rirsi იოანესა და ექვთიმეს დვაწლი დაასრულა ღირსმა გიორგი მთაწმიდელმა. მან საქართველოს მეფის ბაგრატ კურაპალატის მატერიალური დახმარებით აღაშენა ივერთა მონასტრის მთავარი ტაძარი ყოველადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინების სახელზე და აქ გადმოასვენა ორი ღმერთშემოსილი მამის პატიოსანი ნაწილები. 1057 წლის ანტიოქიის საეკლესიო კრებაზე ნეტარმა გიორგიმ ანტიოქიის პატრიარქის თეოდოსის წინაშე ასე დაიცვა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა:

"წმიდაო მეუფეო, შენ იტყვი, ვითარმედ თავისა მის მოციქულთადასა პეტრეს საყდარსა ვზიო. ხოლო ჩვენ პირველწოდებულისა და ძმისა თვისისა მწოდებელისა ნაწილნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი. და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი – სიმონს ვიტყვი კანანელსა – ქვეყანასა ჩვენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ამათ წმიდათა მოციქულთა განათლებულნი ვართ. და ვინაფთგან ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარგვიყოფიეს. და არცა ოდეს წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩვენი, და ყოველთა უარისყოფელთა და მწვალებელთა შეგახვეწებთ და დავსწყევთ. ამას საფუძველსა ზედა მართლმადიდებლობისასა და მცნებათა და ქადაგებათა ზედა წმიდათა მათ მოციქულთასა მტკიცე ვართ. აწ, უკეთუ ჯერ არს, დაგემორჩილნეთ... წმიდაო მეუფეო, შენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს. რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა და ძმასა ანდრეას, და რათა თქვენ ჩვენ დაგვემორჩილნეთ... იყო უამი, რომელ ყოველსა საბერძნეთსა შინა მართლმადიდებლობად არა იპოებოდა და იოანე გუთელ ეპისკოპოსი მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სვინაქსარსა".

ღირსი გიორგი ღირსი ექვთიმეს გვერდით იყო დაკრძალული ღმრთისმშობლის მიძინების ტაძარში (ღირსი გიორგისა და სხვა ქართველი წმიდა მამების: იოანეს, ექვთიმეს, იოანე თორნიკოფილის, გიორგი მაშენებლის, გაბრიელისა და სხვათა პატიოსანი სხეულები ლათინმა ჯვაროსნებმა გაიტაცეს და მათი ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია; ივერთა სავანეში ინახება მხოლოდ ღირსი გაბრიელის თითი). გიორგი მცირის თქმით, გიორგი მთაწმიდელისავით "ეგვეთარი თარგმანი თვინიერ წმიდისა მამისა ჩუენისა ეფთვიმესსა სხუად არა გამოჩენილა ენასა ჩუენსა და, ვჰგონებ, თუ არცა გამოჩინებად არს". გიორგი და ექვთიმე მთაწმიდელები – საქართველოს ორი უკანასკნელი მოციქულია, რომლებმაც "შეამკვეს და აღაყვავეს ენად ჩვენი და ქვეყანა თარგმანებითა წმიდათა წერილთადათა". ყოველ ტაძარში ღმრთისმსახურებისას ჟღერს მათი ხმა წმიდა წერილის სიტყვებში. მათ მუდამ მოკრძალებით მოისმენენ შთამომავალნი, სანამ ცა და მიწა არ წარსდგება საშინელ სამსჯავროზე, სანამ ქვეყნად გაისმის ქართული მეტყველება.

სვედიანი, და თანაც სასიხარულო

iverTa სავანის შემდგომი ისტორია მეტად სვედიანია, და თანაც სასიხარულო, რადგან მოწამეობრივი ფურცლებით არის სავსე.

XIII საუკუნის მიწურულს ათონის მთა დაარბიეს ლათინმა ჯვაროსნებმა. ივერთა მონასტერში მისულებმა ქართველ ბერებს მოსთხოვეს პაპის ხელისუფლების აღიარება და კათოლიკობის მიღება. მამები მტკიცედ იდგნენ ჭეშმარიტ აღმსარებლობაში და არათუ არ ინებეს მათთან ერთობა, ამხილეს კიდევ უკეთურნი და ანათემას გადასცეს ახალმოძღვრებათათვის. გამძვინვარებულმა მტრებმა ბერები მონასტრიდან პატივსხდით გამოიყვანეს, მათგან უხუცესნი (გადმოცემით ორასამდე მამა) მონასტრისავე გემზე დასხეს და გემთან ერთად ჩაძირეს. ამგვარად მიიღეს ნეტარმა მამებმა მწვალებელთა დაუმორჩილებლობისათვის მოწამეობის გვირგვინი. ახალგაზრდა ბერები კი რომში გაგზავნეს, საბერო სამოსი შემოაძარცვეს და იუდეველთ მიჰყიდეს.

ამ და სხვა გამანადგურებელი თავდასხმების შედეგად, ისევე როგორც ურჯულთაგან აწიოკებული საქართველოს სამეფოს დასუსტების გამო, ქართველი ბერების რიცხვი ივერთა სავანეში იმდენად შემცირდა, რომ მონასტერში იწვეს ბერძენი ბერების მიღებაც. მალე თავიანთი რიცხოვრივი უპირატესობითა და კონსტანტინოპოლის პატრიარქის კალისტეს თანადგომით გამხნეებული ბერძენი მამების ნაწილი აღუდგა ქართველებს და მოინდომა, წაერთმია მათთვის მონასტრის მთავარი ტაძარი, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, რადგან საქართველოს მეფემ ბაგრატ დიდმა და ბიზანტიის იმპერატორმა იოანე პალეოლოგმა ქართველ მამებს დაუჭირეს მხარი.

ათონის ივერთა სავანე მუდამ დიდ თანადგომას გრძნობდა მშობლიური ქვეყნიდან. მონასტრის კეთილისმყოფელთა შორის იყვნენ საქართველოს მეფეები ბაგრატ III და ბაგრატ IV, გიორგი III, წმიდა დავით აღმაშენებელი და თამარი, ერეკლე II, კახეთის მეფეები ლევანი და ალექსანდრე, იმერეთის მეფე სოლომონი და სხვანი, რომელთა სახელები მოხსენიებულია ივერთა მონასტრის აღაპებში. XV საუკუნის მიწურულს სავანე განაახლეს ახალციხის ათაბაგმა ყვარყვარე ჯაყელ-ციხისჯვარელმა და მისმა ძემ ქაიხოსრომ. მათი ძალისხმევით აშენდა მონასტრის დიდი ციხე-კოშკი და საავადმყოფო, ახლად აიგო გალავანი. ქაიხოსრო ათაბაგის შვილს მზეჭაბუკს სამცხის ეპისკოპოსი ამბროსი დიდი შესაწირავებით წარუგზავნია მოსალოცად და მოსახილველად იერუსალიმს, სინასა და ათონის მთის ივერთა მონასტერში. მეუფე ამბროსის ივერიის ღმრთისმშობლის ხატი ძვირფასი პერანგით შეუმოსია და მონასტრისათვის 25.500 თუმანი ოქრო და ვერცხლი შეუწირავს. XVII საუკუნეში აშოთან მუხრან-ბაგრატიონმა, წმიდა მოწამე ქეთევან დედოფლის მამამ, აღაშენა ივერიის ღმრთისმშობლის ხატის ახალი ეკლესია, გაამშვენიერა და სრულიად მოახატინა თავისი საფასით. იგი იქვე ყოფილა დახატული თავის ძესთან, იესესთან ერთად.

ქართველი მამები XIX საუკუნემდე განაგებდნენ მშობლიურ სავანეს. 1801 წლიდან, როცა მონასტერმა დაკარგა საქართველოს მეფეების მფარველობა (ჩვენი ქვეყნის რუსეთთან შეერთების გამო) ქართველთა მდგომარეობა ათონის მთაზე შეიცვალა. მათი რაოდენობა ივერთა სავანეში შემცირდა, რის გამოც მონასტრის წინამძღვრად ამიერიდან ბერძენი მამები ინიშნებოდნენ. 1820-იან წლებში ათონი თურქთა ჯარმა დაიკავა; ბერძენი ბერების უმეტესობამ დატოვა ივერთა მონასტერი, სავანეში დარჩნენ მხოლოდ ქართველი და მსცოვანი ბერძენი მამები. იმხანად დიონისიუს მონასტერში მოღვაწე ღირსი ილარიონ ქართველი უშიშრად წარსდგა ათონზე თურქთა ჯარის სარდლის, წარმოშობით ქართველის, ლიფურთ-ფაშას წინაშე და არაერთგზის ამხილა იგი ჭეშ-

მარიტი რწმენიდან განდგომასა და ქრისტიანებისადმი სასტიკ მოპყრობაში. ღმრთის განგებით, ქრისტესათვის სიკვდილს მოწყურებული მამა ილარიონი ცოცხალი გადარჩა და მისი შუამდგომლობით ფაშამ ივერთა მონასტერი და ათონის სხვა სავანეებიც დაინდო. ომის დასრულების შემდეგ ქართველ ბერებს მაინც მოუწიათ მშობლიური სავანის დატოვება და წმიდა ილია წინასწარმეტყველის სკიტში გადასახლება. ამ სკიტში მოღვაწეობდნენ ცხოვრების სიწმინდით სახელგანთქმული მამები, ბენედიქტე ქიოტიშვილი და ბესარიონ ქიქოძე, წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსის ძმა.

გავიდა ხანი. ათონზე ქართველი მამების მღვდმარეობა გაუსაძლისი შეიქნა. მაშინ, წმიდა გაბრიელ ქიქოძის მიერ ბერად აღკვეცილი ახალგაზრდა იუნკერი მამა ბენედიქტე ბარკალაია, ქართველი მღვდელმთავრების ლოცვა-კურთხევით შეუდგა თავგანწირულ ბრძოლას ათონზე იოანე ღმრთისმეტყველის გაუკაცურებული ქართული სავანის აღდგენისა და წმიდა მთაზე მიმოფანტული თანამემამულეების შემოკრებისათვის. არაერთი მძიმე განსაცდელის გადალახვის შემდეგ რუსი მამების თანადგომით ახალი ივერთა სავანის მშენებლობა წარმატებით დაგვირგვინდა და მალე ორმოცამდე უსახლკარო ქართველმა ბერმა მასში თავშესაფარი ჰპოვა. ამ სავანეში მოღვაწეობდა ბოლო ჟამის საქართველოს ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი მამა იოანე (მაისურაძე), რომელიც ღმრთის იდუმალი განგებით 1903 წელს წმიდა მთაზე აღმოჩნდა და იქ 17 წელიწადი დაჰყო, 1920 წლამდე, სანამ ქრისტიანთა მოღვმის მტერმა ათონის მთის სიმშვიდეშიც არ შეიტანა შფოთი: ქართველ ბერებს უკვე აღარ ჰქონდათ საშუალება ეღვაწათ სულის ხსნისათვის და გულმოდგინედ ელოცათ თავიანთი ბედკრული სამშობლოსათვის; მათ წინააღმდეგ აქ რაღაც მღელვარება აღიძრა. ქართველ ბერთა უმრავლესობა იძულებული შეიქნა, დაეტოვებინა წმიდა მთა და საქართველოში დაბრუნებულიყო, რომელიც იმჟამად უღმერთობის ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი. უკანასკნელი ქართველი ბერი ათონზე ყოფილა ტიხონ ფაღავა. იგი 1956 წელს გარდაცვლილა 90 წლის ასაკში და სიკვდილის წინ ეკლესიის კედელზე ამოუჭრია თავისი გვარი ქართულ ენაზე.

დღეს, ღმრთის მადლითა და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის წყალობით ათონის წმიდა მთაზე რამდენიმე ქართველი მამა მოღვაწეობს და ლოცულობს მრავალტანჯული და ნაწამები საქართველოსთვის და მისი ეკლესიისთვის, რომელიც თავისი სიმცირისა და უძლურების მიუხედავად მართლმადიდებლობის ერთ-ერთი ყველაზე ერთგული და თავდადებული დამცველია თანამედროვე მსოფლიოში.

gadmocema iveriis RmrTismSoblis xatis Sesaxeb

ზეალიმართა და ტალღებთან ერთად დასავლეთისკენ გასცურა

qristes შობიდან მეცხრე საუკუნეში, ხატმებრძოლი მწვალებლობის სენით შეპყრობილი იმპერატორის თეოფილეს მეფობის დროს მძვინვარებდა პატიოსანი ხატების სასტიკი დევნა. ხატთა თაყვანისცემის აღმსარებელ კეთილმორწმუნე ქრისტიანებს აწამებდნენ, ხოლო თავად წმიდა გამოსახულებებს იღებდნენ ტაძრებიდან და წვაებდნენ. ყველა ქალაქსა და სოფელში წარგზავნილი იყო საიდუმლო მზვერავეები, რათა მოეძიათ ფარულად შენახული ხატები და მეფის მკაცრი ბრძანების თანახმად გაენადგურებინათ ისინი.

იმ დროს მცირე აზიის ქალაქ ნიკეასთან ცხოვრობდა ერთი მდიდარი, კეთილმსახური და ქველისმოქმედი ქერივი, თავის ჭაბუკ ვაჟთან ერთად. მას ჰქონდა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის საკვირველთმოქმედი ხატი, რომლის მიმართ განსაკუთრებული რწმენა და კეთილმოწიება გააჩნდა. მან თავისი სახლის მახლობლად ააგო ეკლესია, სადაც მოათავსა ხატი და ხშირად მხურვალედ ღოცულობდა მის წინაშე. ერთხელაც, ქერივის სახლში მივიდნენ მეფის მზვერავეები და თვალი მოჰკრეს ტაძარში დასვენებულ ღმრთისმშობლის ხატს. ერთ-ერთმა მათგანმა განრისხებით ხატს მახვილი ჰკრა და წამსვე ქალწულის ღოციდან, ვითარცა ცოცხალი სხეულიდან, სისხლი გადმოედინა და ჯალათს გულზე მიესხა. დედაკაცმა დაუჩოქა მათ და სთხოვა, დაენდოთ ხატი და მოეთმინათ გათენებამდე, სანამ იგი გამოსასყიდ თანხას შეაგროვებდა, რაზეც მეფის ანგარიშით მსახურთაგან თანხმობა მიიღო.

მათი განშორებისთანავე ქერივი თავის ძესთან ერთად ეკლესიაში შევიდა, მუხლმოდრეკილი, ცად აპყრობილი ხელებით დიდხანს ევედრა ღმრთის დედას, ცრემლითა და ოფლით დააღწო მიწა, და ბოლოს დიდი მოკრძალებით ხატი ზღვის ნაპირას წააბრძანა. იქ კვლავ დაეარდა წმიდა ხატის წინაშე და ღმობიერად შეჰკლადდა მარადის ქალწულს: "დედოფალო, შენ ვითარცა ღმრთისმშობელს ძაღვის გვიხსნა ჩვენ უკეთური მეფისაგან და შენი ხატი დანთქმისაგან!" ამ სიტყვებით ქერივმა სანატრელი სიწმინდე ზღვაში ჩაუშვა, და იხილა სასწაული: ხატი არ დაეცა წყალზე ბრტყლად, არამედ ზეალიმართა და ტალღებთან ერთად დასავლეთისკენ გასცურა. ამის ხილვით ნუგეშინისცემულმა დედაკაცმა მადლობა შესწირა უფალს და მის ყოვლადუბიწო დედას, მერე მიუბრუნდა თავის ძეს და უთხრა: "აღსრულდა ჩვენი წადილი და იმედი, ამო არ ყოფილა ჩვენი მსახურება ღმრთისადმი და კეთილმოწყალება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობლისა. ახლა მისი სიყვარულისთვის მე მზად ვარ მოვკვდე მტანჯველთა ხელით, შენი სიკვდილი კი არ მნებავს. მე არ შემიძლია აქედან წასვლა, შენ კი გთხოვ და გვეედრები, რათა გაიქცე". შვილმა მორჩილებით მიიღო დედის ნება, გამოეთხოვა მას და დაუყოვნებლივ წავიდა თესალონიკში, მცირე ხანში კი გადავიდა ათონის მთაზე და დამკვიდრდა იმ ადგილას, სადაც მოგვიანებით ივერთა მონასტერი აიგო. აქ მან მიიღო მონაზვნობა, ღმრთის სათნო ღვაწლში განვლო ცხოვრება და კეთილად აღესრულა. უეჭველია, რომ უფლის განგებით მოხდა წმიდა მთაზე მისი გადასვლა, რადგან სწორედ მისგან შეიტყვეს ათონის მეუღაბნოე მამებმა ქერივის მიერ წმიდა ხატის ზღვაში ჩაშვების შესახებ. თუ სად იმყოფებოდა ამ ხნის მანძილზე ღმრთის დედის საკვირველთმოქმედი ხატი, უწყის მხოლოდ უფალმა, ყოვლის მეცნიერმა...

ყველა შეიტყობს თქვენი სავანისადმი ჩემს სიყვარულსა და წყალობას

erTxel, XI საუკუნის დამდეგს, დიდ მარხვაში, ივერთა მონასტრის ბერებმა იხილეს ზღვაზე აღმართული ნათლის სვეტი, რომელიც ბრწყინავდა ღამის წყვედიადში და არ ქრებოდა დღის შუქზე. ნათელი მოდიოდა ზღვის ტალღებზე მდგომი ღმრთისმშობლის ხატიდან. მამები შეეცადნენ ნავით მიახლოებოდნენ ხატს, მაგრამ სიწმინდე განეშორა მათ და მისი ნათელი იხილეს ჰორიზონტზე. სადაც ზღვა უერთდება ცას. ათონის ყველა მოღვაწე ზღვასთან შეიკრიბა, თითქოსდა მტრედების გუნდმა დაჰფარაო მისი ნაპირი. ბერები პარაკლისებს უხდიდნენ ზეციურ დედოფალს, მონასტრებში არ წყდებოდა ფსალმუნთა კითხვა. დადგა ვნების შვიდეული. მთელმა წმიდა მთამ გლოვის ძაძები შეიმოსა. უკლებლივ ყველა ბერი ინანიებდა თავის ცოდვებს – მონასტრის წინამძღვრებიც, წლების მანძილზე დაწყუდებული მამებიც და წუთისოფლიდან ახალმოსული მორჩილებიც. მათ იცოდნენ, რომ სინანულის ცრემლებით განუბანელი ცოდვები, ვითარცა კედელი, გზას უღობავდა ზეციურ დედოფალს.

იმხანად ივერთა სავანის მიდამოებში, მიუვალ მთაზე, განმარტოებულ სენაკში კაცთა მზერას მოშორებულ ღმრთის სათნო დეაწლში ატარებდა განდევნილ ცხოვრებას ღირსი გაბრიელი, ტომით ქართველი. ზეციური ნათლით შემოსილი ღმრთისმშობელი ძილში გამოეცხადა ღირს გაბრიელს, რომელიც თავისი სენაკის სიმაღლიდან ჭვრეტდა ზღვით მობრძანებულ პატიოსან ხატს ღმრთის დედისა, და უთხრა: "აუწყე წინამძღვარსა და ძმებს, რომ მნებავს, მივანიჭო მათ ჩემი ხატი შემწედ და მფარველად. ნიშნად ამისა შემოდი ზღვაში, რწმენით გაიარე მის ტალღებზე და მაშინ ყველა შეიტყობს თქვენი სავანისადმი ჩემს სიყვარულსა და წყალობას".

წმიდა ბერმა ამ ხილვის შესახებ წინამძღვარს გამოუცხადა. მეორე დღეს, განთიადზე ივერთა მონასტრის მამები გალობით, საკმეველის კმევითა და ლიტანიობით გამოვიდნენ ნაპირზე. გაბრიელმა ილოცა ღმრთისმშობლისადმი, მერე ფეხი შედგა ზღვის ტალღებზე, როგორც პეტრემ გალიელის ზღვაზე, საკვირველად განვლო წყალი, როგორც ხმელეთი, და ხელში აიღო ფასდაუდებელი საუნჯე. ათროლელები და შეძრწუნებული გაბრიელი მოაბრძანებდა ღმრთის დედის საკვირველთმოქმედ ხატს, რომლის მაღლი უხილავად იჭერდა მას წყლის ზედაპირზე. ბერებმა სიხარულით მიიღეს ხატი, ვითარცა თავად ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი, იქვე სამლოცველო აუგეს და სამი დღე-ღამის განმავლობაში ჰმადლობდნენ უფალს და მის ყოვლადუბიწო დედას. იმ ადგილას, სადაც წმიდა გაბრიელმა ხატი გამოასვენა, ამოსჩქევა საკვირველთმოქმედმა წყარომ, რომელიც დღემდე მოედინება და ყოველგვარ ხორციელ და სულიერ სნეულებათა მკურნალია.

ეს ამბავი მოხდა ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს. სამი დღის შემდეგ ხატი გადაიტანეს მონასტრის მთავარ ტაძარში, ანუ კათოლიკონში, და დააბრძანეს საკურთხეველში. მეორე დღეს ცისკრის ღოცვის წინ კანდლების ასანთებად ეკლესიაში შესულ ბერს ხატი ადგილზე აღარ დახვდა. ხანგრძლივი ძიების შემდეგ ბერებმა იგი მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოაჩინეს და კვლავ უწინდელ ადგილას დააბრუნეს. სასწაული რამდენიმეჯერ განმეორდა. ბოლოს ღმრთისმშობელი ისევ გამოეცხადა ძილში გაბრიელს და უთხრა: "გამოუცხადე ძმებს, რომ მეტად აღარ გამომცადონ, რადგან არ მნებავს თქვენი მფარველობა, არამედ თვითონ მსურს ვიყო თქვენი მფარველიცა და მცველიც, არა მარტო ამ ცხოვრებაში, არამედ მომავალშიც. დაე ყველა ბერი, ვინც ამ მთაზე კეთილად და ღმრთის შიშით იღვაწებს, სასოებდეს ჩემი ძისა და მეუფის მოწყალებას, რამეთუ მე გამოვიტხოვე მისგან ეს ნიჭი და აჰა, იყოს თქვენდა სასწაულად: ვიდრე ამ სავანეში იხილვება ჩემი ხატი, არ მოგაკლდებათ თქვენ ჩემი ძის მაღლი და წყალობა".

ამის მოსმენამ ძმებს გამოუთქმელი სიხარული მოჰგვარა. მათ ყოვლადწმიდა ქალწულის სადიდებლად სავანის კარიბჭესთან მცირე ტაძარი ააგეს და მისი საკვირველთმოქმედი ხატიც იქ დაასვენეს. მას შემდეგ ხატი ღმრთისმშობლის მიერ გამორჩეულ ადგილზე ბრძანდება, რის გამოც იწოდება "პორტიკისად" ანუ "კარიბჭისად" და, რადგანაც მან ივერთა სავანე აირჩია თავის სამყოფლად, ეწოდება "ივერიის ღმრთისმშობელი". მას ძველთაგანვე კიდევ ერთი სახელი შეარქვეს – "მწყალობელი". იგი ყველა მართლმადიდებელ ერში დაემკვიდრა და ამიტომაც ივერთა მონასტერს მსოფლიოში ასზე მეტი დიდი მეტოქი, ანუ ქვემონასტერი ჰქონდა. არსებობს გადმოცემა, რომ სანამ კარიბჭის საკვირველთმოქმედი ხატი ივერთა სავანეში იმყოფება, ათონის მთა მთელს ქვეყნიერებას მოჰფენს მართლმადიდებლობის წმიდა ნათელს და ჯოჯოხეთის ძალები ვერ მოერევიან მას. მაგრამ დადგება დრო და ხატი გაუჩინარდება ისეთივე იღუმალის გზით, როგორც მოვიდა. მაშინ ბერებმა სასწრაფოდ უნდა დატოვონ წმიდა მთა, როგორც ქრისტიანებმა დატოვეს იერუსალიმი ტიტუსის დროს. სოფლის აღსასრულისა და უფლის მეორედ მოსვლის ერთ-ერთი ნიშანი სწორედ ეს იქნება. ათონზე იყო ჩვეულება: ყოველ კვირას ივერთა სავანის კარიბჭესთან მოდიოდნენ ყველა მონასტრის წარმომადგენლები, რათა გაეგოთ, იყო თუ არა ხატი თავის ადგილას; თაყვანს სცემდნენ მას როგორც წმიდა მთის იღუმენიას და ბრუნდებოდნენ თავიანთ მონასტრებში სასიხარულო ამბით, რომ ღმრთისმშობელს არ მიუტოვებია ათონი, რომ წმიდა მთაზე მართლმადიდებლობის სული კვლავინდებურად ნათელი და წმიდაა.

გმადლობ, რომელმან ღირს მყავ უღირსი ესე მოჭედასა და შემკობასა წმიდისა ხატისა შენისა...

gadmocemis თანახმად, ივერიის ღმრთისმშობელი ღუკა მახარებლის მიერ არის დაწერილი. ხატის ზომა (სიგრძეში 1.37 მეტრი, ხოლო სიგანეში 0.9 მეტრი), ისევე როგორც ქალწულის ღმრთაებრივი სახის ფერწერა დიდებულია და მასზე დედა მოწყალებისა და ნუგეშინისცემისა წარმოგვიდგება დედად პირუთვნელი მსაჯულისა. მისი სახე იმდენად მეტყველია, რომ ასე საგონებელში ჩამგდები და შიშის აღმძვრელი ხატი არ მოიპოვება მთელს წმიდა მთაზე. ხატზე სჭარბობს მოშავო-მონაცრისფრო ტონები, და სახეზე დღემდე ამჩნევია სისხლიანი ჭრილობა. საკვირველთმოქმედი ხატი მთლიანად მოჭედილია ოქროცურვილი ვერცხლით და შემკულია სხვადასხვა მეფეთა, დიდებულთა და ღმრთის დედის მადლიერ თაყვანისმცემელთა მიერ შეწირული ოქროს მონეტებით, ძვირფასი ქვებითა და სამკაულებით. ხატის წინ ჰკიდია დიდი, ვერცხლის ან მოოქროვილი ვერცხლის 12 უქრობი კანდელი. ტაძრის მოვლა-პატრონობა და ხატის მსახურება ევალება ღმრთისმოსავ და კეთილმსახურ მღვდელ-მონაზონს, რომელსაც ირჩევს მთელი საძმო. იგი ყველა სხვა საქმისაგან თავისუფალია და დღე და ღამ ტაძარში იმყოფება, სადაც ადავლენს წირვა-ლოცვასა და პარაკლისებს ღმრთისმშობლის სადიდებლად. ამჟამად ამ საპატიო მოვალეობას ასრულებს მღვდელ-მონაზონი იერემია.

ივერიის ღმრთისმშობლის ხატი ქაიხოსრო ჯაყელის საფასითა და სამცხის ეპისკოპოს ამბროსის ღვაწლით ქართველ ოსტატს მოუჭედავს. ხატის პერანგის ქვედა ნაწილზე შემდეგი წარწერაა ქართულ ენაზე: "ჰო, დედოფალო, დედაო კაცთ მოყვარისა ღმერთისაო, ყოვლად უბიწოო ქალწულო მარიამ! შეიწყალე სული პატრონისა ჩემისა, დიდისა ყვარყვარეს შვილისა ქაიხოსროსი და მე, მონა შენი და ყოვლითურთ უღონო ქმნილი, საბრალო ამბროსი. გმადლობ, რომელმან ღირს მყავ უღირსი ესე მოჭედასა და შემკობასა წმიდისა ხატისა შენისა პორტიკისა (კარისა). აჰა, დედოფალო, შეიწირე მცირე ესე, ჩემ ცოდვილისა მიერ კადრებული და დაიცვე ნეშტი

ცხოვრებისა ჩემისა უცოდველად და, ჟამსა საწყალობლისა სულისა ჩემისა განსვლისასა, შემეწიე და უჩინო ჰყვენ ყოველნივე ცოდვათა ჩემთა ხელ წერილნი, და წარმადგინე ცოდვილი საყდართა მისსა და ღმრთისა შენისათა დიდებად ძისა შენისა და თანადაუსაბამოესა მამისა მისისა და ყოვლად წმიდისა სულისა მისისა აწ, და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ".

ივერიის ღმრთისმშობლის ხატი ათონელ მამათა მოწმობით "ყველაზე დიდი სახალხო სიყვარულით სარგებლობს" წმიდა მთაზე. მისი დღესასწაული აღინიშნება ბრწყინვალე შვიდეულის სამშაბათს. საკვირველთმოქმედ ხატს ლიტანიოებით მიასვენებენ ზღვის ნაპირას, სადაც იგი პირველად გამოაბრძანა ღირსმა გაბრიელმა და იქვე მდგომ ღმრთისმშობლის ეკლესიაში აღასრულებენ საღმრთო ლიტურდიას. წარსულში, როდესაც მოგზაურობა ძალზე ძნელი იყო, უთვალავი მლოცველი მოისწრაფოდა ივერთა სავანეში – ერთნი ფეხით, სხვანი ჯორებზე ამხედრებულნი, ზოგიერთები კი ნავებითა და ხომალდებით. საუკუნეებმა ვერ შეარყია ივერიის ხატის პატივისცემა. დღესაც დღესასწაულზე ათასობით მორწმუნე ავსებს მონასტერსა და მის ეზოს, ნავმისადგომსა და მთელს სანაპიროს. აურაცხელია სახიერი მეკარის ხატიდან მომდინარე კურნებანი და საკვირველებანი – ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი ყველას, სარწმუნოებითა და სასოებით მისდამი მოლტოლვილთ უშურველად და უხვად მიანიჭებს სწრაფ შეწევნას, არავის ტოვებს უნუგეშოდ, ყველას შეიტკობს და თავის დედობრივ კალთას გადააფარებს.

iveriis RmrTismSoblis xatis saswaulebi

madlierebiT ვადიდებთ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელს იმ გამოუთქმელი წყალობის გამო, რომელიც მან მოგვმადლა თავისი ყოვლადწმიდა ხატის მეშვეობით: "უგალობდით მონაზონნი, აკურთხევდით ივერიელნი, აღამაღლებდით ყოველი ქვეყანა სახიერსა დედოფალსა, რომელი მდინარეთა საკვირველებათასა აღმოაცენებს საკვირველთმოქმედით ხატით მისით, ამისთვის შენ ღმრთისმშობელო, გაქებთ, გააკურთხევთ, თაყვანისცემთ, გიგალობთ და აღამაღლებთ უკუნისამდე". მრავალი საოცრება და ქველისმოქმედება აქვს ჩადენილი ივერთა საგანეში ღმრთისმშობელს თავისი ხატის პატივისცემით. იმდენად ბევრი, რომ შეუძლებელია, ჩამოვთვალოთ ყველა მათგანი ამ პატარა წიგნში. დაწვრილებით გადმოცემებს მათ შესახებ ინახავს მონასტრის მარტინაე.

ერთ დროს მონასტერი ისე გაღარიბდა, რომ ფქვილიც კი არ გააჩნდა. ყოვლადუბიწო ძილში გამოცხადებია ღრმად დამწუხრებულ წინამძღვარს და უთქვამს: "რად სწუხარ, შვილო, ფქვილის უქონლობის გამო? წადი და იხილე სავსე ბეღელი, რათა დარწმუნდე თქვენდამი ჩემს მზრუნველობაში". წამოდგა წინამძღვარი, მიაშურა ბეღელს და იხილა, რომ იგი პირთამდე სავსე იყო ფქვილით. მაშინვე უხმო ძმებს და უამბო მომხდარი ამბის შესახებ. გაოცებულმა და სიხარულისაგან გულაწუყებულმა ბერებმა ერთხმად განადიდეს უფალი და მარადის ქალწული. სხვა დროს ღვინო შემოჰკლებიათ; წმიდა დედოფალმა ისე გაავსო ყველა ჭურჭელი, რომ ღვინო ძირს იღვრებოდა. ისეთი სასიამოვნო და გემრიელი იყო, რომ ყველა დარწმუნდა, იგი სასწაულებრივი იყო და არა ბუნებრივი. ერთხელ კიდევ ზეთისხილითა და ოსპით აავსო მონასტერი. სავანის კარიბჭესთან დაგანებული საკვირველთმოქმედი ხატი ხშირად არ უშვებდა მონასტერში ისეთ ადამიანებს, რომლებსაც მძიმე, მოუნანიებელი ცოდვა ჰქონდათ სულში, და როცა ზოგიერთი მათგანი ფარულად ცდილობდა საგანეში შესვლას, უსულოდ ეცემოდა მიწაზე.

warsulSi ეგეოსის ზღვა მეკობრეთა სიმრავლით იყო განთქმული. მონასტერზე მათი ერთ-ერთი თავდასხმის დროს არაბმა მეკობრემ შუბით ჭრილობა მიაყენა ივერიის ღმრთისმშობლის ხატს, საიდანაც მეყსეულად სისხლმა იფეთქა. თავზარდაცემულმა შეინანა თავისი დანაშაული ღმრთისმშობლის წინაშე, იწამა მისი ძე და მოინათლა. აქვე დარჩა და მცირე ხანში ბერადაც აღიკვეცა. იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ტირილით ევედრებოდა მამებს, რომ მისთვის ბერობის სახელი დამასკინოსი კი არ ეწოდებინათ, არამედ – "ბარბაროსი". დაყუდებული ცხოვრებით იგი სიწმინდეს მიემთხვია, და ახლა წმიდა ბარბაროსი ივერიის ღმრთისმშობლის ტაძარშია დახატული – შავი, როგორც მოსე ეთიოპელი და ხელთ პირვანდელი საჭურველი უპყრია: მახვილი, ისარი და მშვილდი.

1308 wels ივერთა მონასტერი სასტიკად დაარბიეს სპარსელებმა, რომლებიც მიუახლოვდნენ ათონის მთას 15 ხომალდით და ალყა შემოარტყეს ივერთა მონასტერს. ურჯულთა სიმრავლით შეშინებულმა ბერებმა გამოიტანეს ტაძრებიდან წმიდა ჭურჭელი, მათთან ერთად კარიბჭის ხატიც და ციხე-კოშკს შეაფარეს თავი. მონასტერში შემოჭრილმა სპარსელებმა იწყეს სავანის უმოწყალო ძარცვა და მთავარი ტაძრის გუმბათის ჩამონგრევაც მოიწადინეს. ამ მიზნით გუმბათის შემკავებელ მარმარილოს სვეტებს მათ თოკები გამოაბეს და გამხეცებულნი ეწეოდნენ, მაგრამ ტაძარს

ვერაფერი დააკლეს. ამის მხილველმა ბერებმა გულის სიღრმიდან ცრემლით დაღადჰყვეს ზეციური დედოფლისადმი და მანაც, ყოვლადღლიერმა, არ უგულებელჰყო მათი ვედრება. ვერ მოასწრეს მონასტრის საუნჯით დატვირთულმა ხომალდებმა ნაპირისგან მოშორება, რომ ამოვარდა სასტიკი ქარიშხალი და მთელი ფლოტი ზღვის უფსკრულში დანთქა. გადარჩა მხოლოდ ის გემი, რომელზეც იმყოფებოდა სპარსთა მეთაური – ამირა. მან ეს უბედურება სავანის გაძარცვისათვის მოვლენილ ღმრთის სამართლიან რისხვად აღიარა, შენდობა და ღმრთის წინაშე მეოხება სთხოვა მამებს, დაუბრუნა მონასტერს ნაძარცვი ქონება და თვითონ გაიქცა შეძრწუნებული.

aleqsi კომნენოსის მეფობის დროს ათონის მთის ყველა ბერძნული მონასტერი დაცარიელდა რაღაც მავნე მწერების შემოსევის გამო. ზეციური მეკარის – ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შეწვევით ქართველ მამებს არ მიუტოვებიათ მონასტერი და ძველებურად განაგრძობდნენ ცხოვრებას, როგორც გვიამბობს მატეანე.

erTxel, ნაშუადღევს, მთელი დღის ხეტიალის შემდეგ ივერთა სავანეს მიადგა მწირი და მონასტრის მსახურს ცოტაოდენი პური სთხოვა. ივერთა მონასტერი ძველთაგანვე სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა. ყოველი კვირის ოთხშაბათსა და პარასკევს კარიბჭესთან სტუმრებისათვის პური და ზეთისხილი გამოჰქონდათ, ხოლო დანარჩენ დღეებში – პური და ყველი. მაგრამ მაშინ მსახურმა რატომღაც უარი უთხრა სტუმარს დაპურებაზე. გაწბილებული, მშიერი და მწუხარებით აღვსილი მწირი კარიესისკენ გაემართა. მონასტრისგან მოშორებით ერთ ქვაზე ჩამოჯდა დასასვენებლად, მაგრამ გულნატკენმა თავი ვეღარ შეიკავა და ატირდა. ზუსტად ამ დროს ადამიანის ფეხის ხმა შემოესმა, თავი ძლივს აწია და დაინახა უმშვენიერესი ქალი ყრმით ხელში, რომელიც მიუახლოვდა მას და სანდომიანი სახითა და ტკბილი ხმით ჰკითხა: "რა დაგემართა, რად სტირი? ავად ხომ არა ხარ?" "არა, – უპასუხა მოგზაურმა, – ავად არა ვარ, მშია. ივერთა მონასტრის დარაჯს ცოტაოდენი პური ვთხოვე და არ მომცა". მაშინ ქალმა მიუგო: "ნუ ბრაზობ, შვილო, ჩემი მონასტრის დარაჯზე, რამეთუ მე ვარ ივერთა სავანის დარაჯი. აიღე ეს მონეტა, დაბრუნდი მონასტერში და იყიდე პური. მე კი აქ დაგელოდები".

მწირი მაშინვე გაეშურა მონასტრისაკენ, იპოვა დარაჯი და სთხოვა პური მიეყიდა, და ხელში მონეტა ჩაუდო, რომელიც მისი თქმით ვიდაც ქალმა აჩუქა. ქალის ხსენებამ დარაჯი შეაშფოთა და საგონებელში ჩააგდო, მაგრამ მონეტის დანახვამ ეჭვი გაუფანტა და მიხვდა, რომ სასწაული ხდებოდა. სასწრაფოდ ზარები დარეკა, რათა მამები შეეკრიბა და მათთვის მომხდარი ამბავი ეცნობებინა. მამებმა მოისმინეს ეს საკვირველი ამბავი და განცვიფრდნენ. დაადგინეს, რომ მწირის მიერ მოტანილი ოქროს მონეტა კარიბჭის ღმრთისმშობლისადმი შენაწირი იყო და დიდი რუდუნებით კვლავ წმიდა ხატთან დაასვენეს. ამის შემდეგ ყველანი დაუყოვნებლივ აღნიშნულ ადგილზე მივიდნენ, მაგრამ იქ ვეღარავინ იპოვეს. სასწაულის სამახსოვროდ მამებმა გამოცხადების ადგილას დააყენეს პატარა სალოცავი. 1960 წელს კი ივერთა მონასტრის ბერ-მონაზონმა მაქსიმემ, რომელიც ტრაპიზონიდან იყო წარმოშობით, თავისი ხარჯებით მშვენიერი სამლოცველო ააგო ამ ადგილზე ივერიის ღმრთისმშობლის პატივსაცემად და მას წლების მანძილზე ემსახურებოდა. ეს სამლოცველო ლამაზი ფრესკებით არის დამშვენებული.

ვინაიდან მონასტრის მკვიდრნი ხარჯებს უფროსილდებოდნენ, შეწყვიტეს სტუმრების მიღება და მათთვის ჩვეული სტუმარმასპინძლობა უარყვეს, საჭირო იყო, რათა მომხდარიყო ახალი სასწაული. ამიტომაც პური და ოსპი გაფუჭდა საწყობში, ღვინო და ზეთისხილი კი ერთიანად განადგურდა. ამ უცნაური ამბით შეშფოთებული ბერები ცრემლებით ევედრებოდნენ ღმრთისმშობელს, წყალობა მოედო მათზე. შეიწყნარა მათი მუდარა მრავალმოწყალებ და მისი მადლით კვლავ უხილავად აივსო დაცარიელებული ჭურჭელი.

XVIII საუკუნეში ათონის მთა მოილოცა მეუფე ტიმოთე გაბაშვილმა. ივერთა მონასტერში, ერთ ადგილას მას ხანძრის კვალი შეუნიშნავს და მიზეზი უკითხავს. მისთვის განუმარტავთ: ამ ორი წლის წინათ, ერთმა ბერმა ღამით შეაღო ტაძარი სალოცავად და იხილა ბრწყინვალედ მოსილი ქალი, რომელმაც გააკვირვებულ ბერს მიუგო: "წადი, აცნობე ძმებს, თქვენი მონასტერი იწვისო!" ბერმა განგაში ატეხა და ცეცხლი სწრაფად ჩააქრეს. ამგვარად გადარჩა ივერთა სავანე.

1821 წლის ბერძენთა აჯანყების საშინელ პერიოდში თურქი ჯარისკაცებით აივსო ათონის მთის ყველა სავანე, რომლებსაც დამპყრობელთა შენახვა და ხაზინაში უზარმაზარი გადასახადების შეტანა დაეკისრათ. დაცარიელდა ივერთა სავანე, აქ დარჩა მხოლოდ რამდენიმე ბერი. დამლობით თურქები ხედავდნენ ქალს ყრმით ხელში. ამ ამბავმა მათ აფიქრებინა, რომ ბერებს იქ სხვა ქალებიც ჰყავდათ გადამალული. მოუხმეს მონასტრის დარაჯს, ბერ-ღიაკონ გრიგოლს და მისი წამების ფასად სცადეს გამოერკვიათ, თუ ვინ იყო ის იდუმალი სტუმარი, ღამით რომ ჩნდებოდა და კვლავ უჩინარდებოდა ხოლმე. სასტიკად ნაგვემი და დასისხლიანებული ბერი კარიბჭის ღმრთისმშობლის ხატთან მიუძღვა მათ და უთხრა: "ეს არის!" ჯარისკაცები შიშითა და კანკალით გაეცალნენ იმ ადგილს.

ერთხელ მღვდელმა, რომელსაც ივერიის ღმრთისმშობლის ტაძარში ყოველდღიური წირვა-ლოცვისა და პარაკლისის აღსრულება ჰქონდა დავალებული, თვალი მოჰკრა ზეციური სიმშენიერის ქალს შავ შესამოსელში; მას ხელში ცოცხი ეკავა და მონასტერს ჰგვიდა. მღვდელი ადგილზე გაქვავდა, როდესაც მონასტერში ქალი იხილა და ისიც ცოცხით ხელში, მერე მხნეობა მოიკრიბა და ჰკითხა: "აქ რას აკეთებ, მონასტერს ჰგვი?" უცნობმა უპასუხა: "რასაკვირველია. მოვიდა დრო, რომ გაეწმინდო იგი, რადგან ამდენი წელი არავის გამოუგვია!"

ეს ამბავი მოხდა ბრწყინვალე შვიდეულის კვირას, ანუ ე.წ. თომას კვირას. მართლაც, არ გასულა დიდი ხანი, რომ სულთანმა გამოსცა განკარგულება ათონის მთიდან თურქეთის ჯარების გამოსვლის შესახებ. მას შემდეგ ყოველადწმიდა ქალწულის სადიდებლად და სამადლობლად თომას კვირას ათონის ყველა ტაძარში სრულდება ღამისთევით ღოცვა. რამეთუ ცოცხით, რომელიც ღმრთისმშობლის შეწვევის ნიშანი იყო, თურქები გახვეტილ იქნენ წმიდა მთიდან და "ღმრთისმშობლის სავანე" გაიწმინდა სიბილწისა და უკეთურებისაგან.

1854 წელს ათონზე შიმშილობა ჩამოვარდა. აქ მოღვაწეთა უდიდესმა ნაწილმა მიატოვა წმიდა მთა – ორმოცი ათასი ბერიდან დარჩა მარტოდენ ათასი და მათაც გაქცევა ჰქონდათ განზრახული. მაშინ ღმრთისმშობელი გამოეცხადა მეუღაბნოე მამებს და უთხრა: "რისი შეგეშინდათ? ყველაფერი გაივლის და მთას კვლავ აავსებენ მოღვაწენი. სანამ ჩემი ხატი ივერთა მონასტერში

იმყოფება, არაფრის გეშინოდეთ და მშვიდად იცხოვრეთ თქვენს სენაკებში. აი როცა მე გამოვალ ივერთა მონასტრიდან, მაშინ დაე ყველამ აიღოს თავისი ჩანთა და წავიდეს, სადაც ენებოს!" გავიდა დრო და ათონზე შიმშილობა შეწყდა, ბერ-მონაზვნული ცხოვრება კი უწინდელ კალაპოტში ჩადგა.

1865 wels ივერთა საგანეში გაჩენილმა ძლიერმა ხანძარმა 16 ეკლესია, სენაკები და რამდენიმე შენობა გაანადგურა. ტაძარს, რომელშიც კარიბჭის ხატი იმყოფებოდა, ცეცხლი არ შეჰხებია.

RmrTismSobels არ მოსწონს, რომ ივერიის პატიოსანი ხატი უწმინდური სულის ადამიანებმა ჩამოატარონ ლიტანიობაზე. ამ დროს იგი საშინლად მიიმდებოდა და ისინიც მაშინვე სხვას გადასცემენ ხატს და თვითონ გარბიან. არც ყველა ფოტოგრაფი მოსწონს. საჭიროა, რომ ისინი წმიდა ადამიანები იყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ფოტოფირები უმოწყალოდ ნადგურდება. ერთი საექვო ყოფაქცევის კაცს დაუინებით უცდია ფოტო გადაეღო ხატისათვის დღესასწაულზე, როცა თესალონიკის მიტროპოლიტი პანტელეიმონი მსახურობდა და რა მოხდა?! ხელები დაუდამბლავდა, აპარატი შორს გადატყორცნა, მთლად კანკალმა აიტანა და შიშითა და სირცხვილით გაუჩინარდა. მოხეიმენი კი ამბობდნენ: ცოცხალია კარიბჭის ღმრთისმშობელი.

1920 wels ახალგაზრდა ათენელ მეფუტკრეს, სახელად ილიას, გრიპის გართულების შედეგად უმძიმესი ფორმის ფილტვების ანთება დაემართა. ექიმებისგან იმედგადაწურული სასიკვდილოდ გამზადებული იწვა. დედამისი, ქვრივი ქალი, მთელი ღამის განმავლობაში ევედრებოდა ყოვლადუბიწოს მის გადარჩენას. ხატი, რომლის წინაშეც ღოცულობდა მუხლმოყრილი დედა, ივერიის ღმრთისმშობლის ხატის ასლი იყო. სწორედ ეს განამტკიცებდა მის რწმენას. მეორე დღეს ილია სრულიად განიკურნა. მადლიერების ნიშნად ამ ქალმა ათონის ივერთა მონასტერს ოქროს სამაჯური შესწირა, რომელიც დღეს კარიბჭის ხატის წინ ასვენია.

sofel ჰერამილიტინიში მღვდელ მიხეილ პაკალისს ჰყავდა 20 წლის ასული, სახელად დესპინელა. გოგონას დამბლა ჰქონდა და ექიმები ვერაფერს შეელოდნენ. მამა მიხეილს სახლში ჰქონდა ივერიის ღმრთისმშობლის ქალღმრთის ხატი, რომლის წინაშეც გალობდა და მხურვალე გულით შესთხოვდა შვილის გამოჯანმრთელებას. ერთხელაც დილით დავრდომილი გოგონა გაჯანსაღებული სიხარულით ჩაეკონა თავისი ოჯახის წევრებს და ეს სიხარული მთელს სოფელს გადასდო. მამამ კი წერილი გააგზავნა მონასტერში, რომელშიც გამოთქვამდა უსაზღვრო მადლობას კარიბჭის ღმრთისმშობლის მიმართ.

1960 wlis აგვისტოში სპარტას მისტრაში დედათა მონასტრის მახლობლად ცეცხლი მოეკიდა არქეოლოგიურ სათავსოს და ისტორიულ ტაძარს მთლიანად განადგურებას უქადდა. არავითარ ადამიანურ ძალას არ შეეძლო შეეღო. იქ მხოლოდ იღუმენია და მონაზვნები იყვნენ, რომელთაც არაფრის გაკეთება არ შეეძლოთ.

ამ მძიმე წუთებში იღუმენია ივერთა მონასტრის უახლოესი მეტოქისკენ მიბრუნდა და ივერიის ღმრთისმშობელს შეევედრა: "ყოვლადწმიდაო კარიბჭის ღმრთისმშობელო, გვიხსენი!" დახმარება იმწამსვე მოვიდა. ხანძარი შეჩერდა, ბოლოს კი ისე ჩაქრა, რომ არავითარი ზიანი არ მი-

უყენებია მონასტრისათვის. მონაზვნებმა მაშინვე სამადლობელი ღოცვები აღუვლინეს მარადის ქალწულს.

eklesiis დიდი მამა, წმიდა ნიკოდიმოს მთაწმიდელი ამბობს: "როცა შეჰყურებ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატს, მთელი გულით მიისწრაფე მისკენ, რომელიც მეუფებს სასუფეველში, და ჰმადლობდე მას, რამეთუ მან შვა, ძუძუ აწოვა და აღზარდა სოფლის მაცხოვარი; რამეთუ არ დაგვტოვებს ჩვენს უხილავ ბრძოლაში თავისი მეოხებისა და შეწვევის გარეშე". ღმრთისმშობლის ხატთან მორწმუნეთა მიერ აღვლენილი ყოველი ღოცვა ხომ ზეციერ მამასთან ადის, რომელსაც ძალუძს თავისი მადლით დაამსხვრიოს ეშმაკის ხელმწიფება და აღადგინოს სული დაცემის უფსკრულიდან – ოღონდაც მოუხმოს ამ სულმა მარადის ქალწულს, გულის სიდრმიდან შეჰღაღადოს თავის ჭკმში დედას. სოფლისათვის მიუწვდომელია ეს საიდუმლო: მთელს კაცობრიობას და ყოველ ადამიანს ჰყავს დედა, რომლის სიყვარულიც უკანასკნელი თავშესაფარი და გადარჩენის იმედია ღმრთის დაკარგულ და რწმენას მოწყვეტილ შეილთათვის... გეწამდეს ჩვენი დედისა, სახიერი მეკარისა, და ვსასოებდეთ, რომ იგი ჩვენს ყველა ცოდვას განწმედს და შეგვეგებება მისი ძისა და ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს სასუფეველის კართან. ამინ

iverTa monastris sakvirvelTmoqmedi kandeli

iverTa მონასტრის ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის მთავარ ტაძარში, ზუსტად მშვენიერი სამეუფო კარის წინ ჰკიდია დიდი უძველესი ვერცხლის კანდელი, შეწირული მღვდელმონაზონ ბენედიქტე ჭყონდიდელის მიერ 1834 წელს. ეს კანდელი წარმოადგენს უცნაურ და საიდუმლოებით მოცულ მოვლენას, ხილულ საოცრებას, ვინაიდან არ ემორჩილება სიმძიმის ძირითად კანონს და მოძრაობს თავისთავად, ან უკეთ რომ ვთქვათ, უხილავი ძალით, რითმულად და ჰორიზონტალურად დიდი ხნის განმავლობაში. ეს სასწაული ხდება დიდ დღესასწაულებზე წირვისა და ღოცვის დროს, ხოლო ჩვეულებრივ დღეებში მოულოდნელად და უეცრად, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ლიტურდია. დღესასწაულებზე კანდელი მოძრაობას იწყებს მეტწილად ღამის თევის დროს, როდესაც იწყება ღმრთისმსახურების მთავარი ნაწილი, როცა სასიხარულო ჰიმნებსა და საგალობლებს უგალობენ უფალს ან აღიდებენ დედოფალს ჩვენსას ღმრთისმშობელს და როცა ზემისთვის ტიპიკონის მიხედვით ინთება შანდლები და ტაძრის ყველა სინათლე. ეს საკვირველი სანახაობა იმ წუთებში იწყებს შიშსა და გაოცებას, სიხარულსა და მოკრძალებას, როგორც მონასტრის მამათა შორის, ასევე იმ დროს იქ მყოფ მლოცველებშიც, რომლებიც პირველად ხედავენ ამ მოვლენას.

უძველესი გადმოცემის მიხედვით, რომელმაც დღემდე მოაღწია უხუცესი მამებისაგან, კანდელის თავისთავად მოძრაობას დღესასწაულებზე შემდეგი მნიშვნელობა აქვს: ითვლება, როგორც თვალხილული ნიშანი და დასტური იმისა, რომ ღმრთისმშობელი იმ დროს თავის ტაძარში იმყოფება და ეუბნება იქ მყოფთ: "აი ნიშანი, შეხედეთ, თქვენთანა ვარ, თქვენთან ერთად ემონაწილეობ ზეიმში და ბერებთან და სხვა ქრისტიანებთან ერთად ვზეიმობ, ვითარცა დედა თავის შვილებთან. ვლოცავ პატიოსანი და კეთილი საქმეების მომქმედთ. თბილ დედობრივ დარიგებას ვაძლევ ზარმაცთ, რომ გამოსწორდნენ, რადგან მიუხედავად მთელი ჩემი თანაგრძნობისა მათ მიმართ, უძლური ვარ რაიმე გაგაკეთო გულგრილთა სულების გადასარჩენად".

რაც შეეხება კანდლის მოძრაობას ჩვეულებრივ დღეებში, იგივე გადმოცემის მიხედვით, იგი მოასწავებს რაიმე უბედურებას ქვეყნისთვის სავალალო შედეგებით, როგორცაა, მაგალითად, მიწისძვრა, ომი ან სასიკვდილო ეპიდემია. ესეც ღმრთის განგებაა, ღმრთისმშობლის მეოხება, დროული შეტყობინება, რათა ღოცვითა და სინანულით გამოვისყიდოთ ჩვენი შეცოდებანი ღმრთის წინაშე და შეძლებისდაგვარად ავიცდინოთ მომავალი უბედურება.

ივერთა მონასტრის მატთანე მოგვითხრობს ასეთ საკვირველ შემთხვევას. ერთხელ ტაძრის ახალგაზრდა მნათემ ჩათვალა, რომ კანდლის მოძრაობა დამოკიდებული იყო ქარის ქროლვაზე. ამიტომაც გადაწყვიტა ქვიშა ჩაეყარა კანდლის გარე სათავსოში მის დასამძიმებლად და ამგვარად, მისი აზრით, კანდელი აღარ იმოძრაავდა. მაგრამ პირველსავე ღამეს, როცა ტაძარში შევიდა თავისი მოვალეობის შესასრულებლად, იხილა სხვა საოცრება. კანდელი სიმძიმის გამო მოწყვეტილიყო თავის საკიდს და იატაკზე დაცემული გამართული იდგა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ფორმა ქვემოთ ვიწრო და წვეტიანი იყო. წინანდელივით ენთო მისი შუქი, თითქოსდა არაფერიც არ შემთხვეოდა. მაშინ შეშინებულმა მნათემ გადმოყარა ქვიშა, კანდელი ძველ ადგილს დაუბრუნა და მყის თვალცრემლიანი გაიქცა თავისი შეცოდების საღიარებლად; განუცხადა ყველას ეს ახალი სასწაული და აღიდა კარიბჭის ღმრთისმშობელი, რადგან ამ გზით გამოიყვანა იგი ურწმუნოებიდან და ასწავლა, რომ "სადაც ღმრთის განგებაა, იქ ბუნების კანონები მარცხდებიან".

ათონელთა მოწმობით, თურქეთის ჯარების კვიპროსზე თავდასხმის წინა დღეებში კანდელი ისე ძლიერად მოძრაობდა, რომ ზეთი ძირს იღვრებოდა. იგივე ხდებოდა ამერიკა-ერაყის ომის დაწყებამდე. კანდელი მოძრაობდა სომხეთის თავს დამტყლარი მიწისძვრის წინაც.

ივერთა მონასტრის მამები ყურადღებით ადევნებენ თვალს საკვირველთმოქმედ კანდელს. როცა იგი ჩვეულებრივ დღეებში განსაკუთრებით ძლიერად იწყებს მოძრაობას, დაუყოვნებლივ აცნობებენ ხოლმე ათონის მთის ყველა მონასტერს, რის შემდეგაც ადევლინება ერთობლივი ლოცვა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მეოხებისა და შეწყალებისათვის. ამ მოვლენის შესახებ გადასცემენ განდევნილ მამებსაც თხოვნით, გააძლიერონ ლოცვა და გააღრმავონ მარხვა, რადგან თვით მარადის ქალწული იუწყება მოახლოებული უბედურების შესახებ. ჭეშმარიტად, სახიერი მეკარის ეს კანდელი დიდებული მოწმობაა იმისა, რომ ღმრთისმშობელი მუდამ ჩვენს გვერდით იმყოფება და არ მიგვატოვებს უმძიმეს განსაცდელშიც კი.

monrealis iveriis RmrTismSoblis mironmdinare xati

1981 wels ათონის წმიდა მთაზე შეიქმნა ივერიის ღმრთისმშობლის ხატის ასლი, რომელსაც წილად ხვდა გამხდარიყო ერთ-ერთი უდიდებულესი მოწმობა XX საუკუნის ადამიანებისადმი ღმრთის დედის გამოუთქმელი წყალობისა. საკვირველთმოქმედი ხატის ისტორია დაკავშირებულია ესპანური წარმოშობის ჩილელის, იოსებ (ხოსე) მუნიოს კორტესის ცხოვრებისეულ ხვედრთან.

იოსების მშობლები იყვნენ მგზნებარე კათოლიკები. როგორც თავად იოსები მოგვითხრობს, ბავშვობაში ზურგზე მოკიდებული ჩანთით შევიდა მართლმადიდებლურ ტაძარში და იმ დროიდან მისი გული იქ იმყოფებოდა. მართლმადიდებლობა მან თოთხმეტი წლის ასაკში მიიღო. ოჯახი გაგებით შეხვდა იოსების არჩევანს. იგი იყო ხატმწერი და ასწავლიდა ხელოვნების ისტორიას მონრეალის უნივერსიტეტში. 1982 წლის შემოდგომაზე იოსები მეგობრებთან ერთად ათონის მთაზე გაემგზავრა, რადგან დიდი სურვილი ჰქონდა მოენახულებინა ხატწერის მდიდარი ტრადიციებით განთქმული წმიდა დანიელის სკიტი. სკიტისაკენ მიმავალთ გზა აებნათ და შემოაღამდათ. ბილიკმა ისინი სხვა, ქრისტეს შობის სახელობის ღარიბულ სკიტში მიიყვანა, სადაც თოთხმეტი ხატმწერი ბერი მოღვაწეობდა. მათ სიხარულით მიიღეს სტუმრები და გულითადად გაუმასპინძლდნენ, რის შემდეგაც მიიწვიეს ხატწერის სახელოსნოში.

"აქ მე ვიხილე ივერიის ღმრთისმშობლის ხატის ასლი, – იხსენებს იოსები. – ვერასოდეს გადმოვცემ სიტყვით, თუ რა განვიცადე იმ წუთას, უთუოდ მკერდში გული გადამიბრუნდა. ძლიერ მივეჯახე ხატს, არ მინდოდა მასთან განშორება. ვთხოვე ბერებს მოეყიდათ, მაგრამ უარი მითხრეს, ეს ხატი მათი ერთ-ერთი პირველი ნამუშევარი აღმოჩნდა და არ შეეძლოთ მისი გაყიდვა. მე მაინც დიდხანს, ძალიან დიდხანს და დაჟინებით ვთხოვდი, ვევედრებოდი. ბერებმა მითხრეს, შეგვიძლია ამ ხატის ასლი გადავიღოთ და გამოგიგზავნოთო, მაგრამ მე უარი ვუთხარი – სხვა არ მინდოდა, სწორედ ამ ხატის მიმართ ვგრძნობდი განსაკუთრებულ სიყვარულს. ბოლოს შევწყვიტე მუდარა, დავმორჩილდი ბედს.

ღამით სკიტში დავრჩი ლიტურგიაზე დასასწრებად. "ღირს არს"-ის გალობის დროს პირქვე დავემხე და შევევედრე ღმრთისმშობელს: "მე უკვე ყველაფერი ვიღონე, რისი გაკეთებაც ადამიანურად შემიძლო: მე მათ შევთავაზე ფული, ხვეწნით თავი მოვაბეზრე იღუმენს... ღმრთისმშობელო, წამოდი ჩვენთან ამერიკაში, ჩვენ ხომ ძალიან გვიჭირს უშენოდ!" ლოცვის შემდეგ სულიერი სიმშვიდე ვიგრძენი, იმედი მომეცა, რომ ყოველადწმიდა ქალწული ჩვენთან ერთად წამოვიდოდა.

ღილით, საუზმის შემდეგ ყველას გამოვემშვიდობეთ, იღუმენი კი არსად ჩანდა. და აი მონასტრიდან ჩვენი წამოსვლის უკანასკნელ წუთს დავინახეთ, რომ იგი სწრაფად ეშვებოდა კიბეზე ქაღალდში გახვეული ხატით ხელში. "ღმრთისმშობელს ჰნებავს თქვენთან ერთად წამოვიდეს ამერიკაში", – მითხრა მან და ხატი გამომიწოდა. იღუმენს, მამა კლიმენტის, ფული შევთავაზე, მაგრამ მან მტკიცე უარი განაცხადა: "ასეთი სიწმინდე ფულით არ იყიდება". მინდოდა რაიმეთი გამომეხატა მადლიერება, ფული შემეწირა სკიტისათვის, იგი ხომ ძალზე ღარიბი იყო, მაგრამ წინამძღვარი შეუვალი დარჩა.

ტანში ჟრუანტელმა დამიარა, ვიგრძენი, რომ უჩვეულო რამ მოხდა. პირჯვარი გადავიწერე, ვემთხვიე ხატს და ჩემს თავს აღთქმა მივეცი, რომ ეს ხატი არასოდეს გახდებოდა გამდიდრების წყარო. ძლიერი შინაგანი ხმის კარნახით პირდაპირ ივერთა მონასტერში გავემართეთ. აქ ნება მოვვცეს ნაჩუქარი ხატი ივერიის ღმრთისმშობლის ხატის პირველსახეზე მიღებით გვეკურთხა.

ხატი იმდენად დიდებული და ღამაში იყო, ისეთ სულიერ ძალას აფრქვევდა, რომ ძნელი იყო მისთვის დიდხანს გეცქირა.

მონრეალში დავბრუნდით 1982 წლის 3 ნოემბერს. ხატი კიევის მღვიმეთა ლავრის ზოგიერთი წმიდანისა და რუსეთის ახალმოწამეების ელისაბედისა და ბარბარეს წმიდა ნაწილებს შორის დავაბრძანე. ხატთან ერთო უქრობი კანდელი. სამი კვირის განმავლობაში, ძილის წინ, ყოველდღივად ღმრთისმშობელს ვუკითხავდი დაუჯდომელს.

24 ნოემბერს ღამის სამ საათზე გამომადვიდა ძლიერმა კეთილსურნელებამ. თავდაპირველად ვიფიქრე, რომ მას გამოსცემდა წმიდა ნაწილები ან სუნამოს დაქცეული ფლაკონი. მაგრამ როდესაც მივუახლოვდი ხატს, დავინახე, რომ ხდებოდა რაღაც განსაკუთრებული, დიდი სასწაული – ხატი მთლიანად დაცვარული იყო კეთილსურნელოვანი მირონით..."

მცირე ხნის შემდეგ ხატი გადაიტანეს ტაძარში და დაასვენეს ტრაპეზზე. წირვის დროს ყრმა იესოს ხელებიდან ნაკადულივით მოედინებოდა მირონი. მას შემდეგ არ შეწყვეტილა ხატიდან მირონის დენა გარდა დიდი მარხვის ვნების შვიდეულის დღეებისა. ბზობის კვირას ხატი თითქოსდა შრებოდა და კვლავ განაახლებდა მირონის დენას დიდ შაბათს, აღდგომის – მართლმადიდებელი ერის დიდი დღესასწაულის კარიბჭესთან. მირონი მოწვეთავდა მუდამ ერთი და იგივე ადგილიდან: ღმრთისმშობლისა და მაცხოვრის ხელებიდან და ყოველდღივად ქალწულის მარჯვენა მხარზე გამოსახული ვარსკვლავიდან; ხშირად მირონს გამოჰყოფდა ხატის ჩარჩოც, თუმცა იგი შედარებით ახალი დამზადებული იყო. ერთხელ ხარების დღესასწაულზე მირონი წამოვიდა ხატის დამცველი შუშის გარეთა ზედაპირიდან: მასზე იწყეს გაჩენა ცვარის მსგავსი მირონის უმცირესმა წვეთებმა, ისე რომ ღმრთისმშობლის გამოსახულება თითქმის აღარ ჩანდა. ხატის უკანა მხარე მუდამ მშრალი რჩებოდა.

ივერიის მირონმდინარე ხატი ღმრთის დედის უძვირფასესი წყალობა იყო, მონიჭებული ჩვენ, უძღურთა, რწმენაში განსამტკიცებლად, სანუგეშოდ და გასახარად. მისგან აღსრულებულმა უთვალავმა სასწაულმა დასავლეთში ბევრი დააფიქრა მართლმადიდებლობის ჭეშმარიტებაზე. მრავალი კათოლიკე და პროტესტანტი მოკრძალებით მოდიოდა, რათა თავყვანი ეცა საკვირველთმოქმედი ხატისათვის. ეკლესიის ისტორიას არ ახსოვს ხატიდან მირონის ასეთი ხანგრძლივი დენა.

მთელს ქრისტიანულ სამყაროში გავრცელდა ივერიის ღმრთისმშობლის ხატის ფოტოები მასზე მიმაგრებული ბამბის ნაჭრებით, რომლებიც მკურნალი კეთილსურნელოვანი მირონით არის გაუღენთილი. მაგრამ ყველაზე საკვირველი ის არის, რომ ხატის ზოგიერთი ფოტოდანაც ასევე მოედინება მირონი. ეს ხდება ყველგან – ამერიკაშიც და ევროპაშიც.

"დიდი ხანი დაბნეული ვიყავი, – ამბობდა იოსები, – მე ხომ ერთ-ერთი ყველაზე უძღური და უკანასკნელი ვარ მართლმადიდებელ ეკლესიაში, თუმცა უფლის ძალა ხშირად ყველაზე უსუსურში მჟღავნდება ხოლმე. ერთხელ უკვე მომიწოდა ღმერთმა ჭეშმარიტი სარწმუნოებისაკენ, მომაქცია. ახლა კი თავისი უდიდესი წყალობით მეორედ ამირჩია. უფალმა მომცა ეს მადლი, რომ თავი ვიგრძნო არარაობად; ყოველდღიურად თანდათან ძლიერდება ამის შეგრძნება ჩემში. "რატომ მაინცდამაინც შენ ავირჩია ღმერთმა?" – მეკითხებიან; ვპასუხობ: მე ყოველთვის ვლოცულობდი ყოველდღივად ქალწულის მიმართ, არასოდეს მითხოვია მისგან სასწაულები, არასოდეს შევედრებივარ მას, რომ რაიმე ნიშნით დაემტკიცებინა ჩემთვის თავისი არსებობა. მე მრწამს ღმრთისმშობლისა, თავყვანს ვცემ უფლის დედას. ასე მასწავლიდა დედა, სიყრმიდანვე მან შემაყვარა ღმრთისმშობელი. მრწამს, რომ ყოველდღივად ქალწული თავის მადლსა და ძალას ამჟღავ-

ნებს იქ, სადაც თვითონ სურს, მიდის იქ, სადაც თვითონ ნებას და მიდის მაშინ, როცა თვითონ სურს".

იოსებ მუნიოსი თავის მოწამებრივ აღსასრულამდე ივერიის ღმრთისმშობლის ხატის უცვლელი მცველი იყო. 15 წლის მანძილზე იგი მთელს მსოფლიოში მოგზაურობდა წმიდა ხატთან ერთად, რომლისაგან მრავალი სასწაული და საკვირველი კურნება აღესრულებოდა. ხატის ძალით ბევრი უღმერთო თუ არამართლმადიდებელი ადამიანი მოიქცეოდა ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე. მირონმდინარე ხატის დიდება სულ უფრო განითქმებოდა დედამიწაზე.

თავდადებული და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ღმრთისმშობელმა იოსები მოწამებრივი გვირგვინის მიღების ღირსი გახადა. 1997 წლის 30 ოქტომბერს, საბერძნეთის დედაქალაქ ათენში იგი ტანჯვა-წამებით მოკლეს ღმერთის მოძულე ადამიანებმა, ხოლო საკვირველმოქმედი ხატი გაიტაცეს და მისი ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია. იოსებ მუნიოსის ცხედარი 10 ნოემბერს მონრეალში გადაასვენეს და როდესაც მეგობრებმა გახსნეს ლუსკუმა, მას გახრწნის არანაირი ნიშანი არ ეტყობოდა. იგი დაკრძალეს ჯორდანვილში, წმიდა სამების მონასტრის სასაფლაოზე. მაგრამ ბოროტი სული ამითაც არ დაკმაყოფილდა: სულ მალე, 1998 წლის იანვარში დაწვეს მონრეალის მართლმადიდებლური ტაძარი, სადაც ესვენა ხოლმე ივერიის ღმრთისმშობლის მირონმდინარე ხატი.

iveriis RmrTismSoblis xati ruseTsa da marTImadideblur samyaroSi

კითარცა მეკარეს ჩვენი ქალაქისას და დარაჯს სრულიად რუსეთისას

marTImadidebel ქრისტიანთა შორის არსებობს გადმოცემა, რომ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელი რუსეთის დიდი მეოხია ღმრთის წინაშე. იგი იწოდება "სახლად ღმრთისმშობლისა", რასაც ადასტურებს რუსეთის მიწაზე განდიდებული უთვალავი საკვირველთმოქმედი ხატი ღმრთის დედისა. წარსულში უმძიმესი განსაცდელების ჟამს მართლმადიდებელი რუსი ხალხი მუდამ ღმრთისმშობლის წმიდა ხატის წინამძღოლობით მიემართებოდა შემოსეული მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში და ზეციური დედოფლის შეწევნით ამარცხებდა მას. საქართველოს მსგავსად რუსეთშიც ანდრია პირველწოდებულს უქადაგია. როცა მას მიუღწევია იმ ადგილამდე, სადაც შემდგომში რუსეთის პირველი დედაქალაქი კიევი გაშენდა, ასეთი სიტყვები წარმოუთქვამს: "მერწმუნეთ, ამ გორაკიან ადგილას ოდესმე ღმრთის მადლი გაბრწყინდება და დიდი ქალაქიც დაემკვიდრება აქ, სადაც უფალი მრავალ ეკლესიას აღმართავს და წმიდა ნათლობით განანათლებს მთელს ამ მიწა-წყალს". გავიდა ცხრა საუკუნე და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ღოცვა-კურთხევითა და მადლმოსილი შეწევნით ახალ ნათელდებულ კიევში აიგო დიდი ლავრის მიძინების ეკლესია. თვითონ მარადის ქალწულმა მოუწოდა კონსტანტინოპოლის ვლადკერნის ტაძარში ბერძენ ხუროთმოძღვართ, გადასცა მათ მოწამეთა წმიდა ნაწილები, უბრძანა აგოთ კიევში ეკლესია და უბოძა თავისი მიძინების ხატი – მომავალი ტაძრის სიწმინდე. მას შემდეგ რუსეთის დედაქალაქების – კიევის, ვლადიმირისა და მოსკოვის – მთავარი ტაძრები იკურთხებოდა ღმრთისმშობლის მიძინების სახელზე.

ივერიის ღმრთისმშობლის ხატი ათონის მთიდან რუსეთში მისი ასლის ჩამოსვენების დღიდანვე რუსი ხალხის სათაყვანებელ სიწმინდედ იქცა. რუსეთში მისი ჩამობრძანება დაუკავშირდა რუსეთის ხელმწიფის ალექსის დამბლადაცემული ქალიშვილის სასწაულებრივ განკურნებას. მეფის ასულის მდგომარეობა ექიმებს უიმედოდ მიაჩნდათ. გამოუთქმელი იყო მშობლების წუხილი, მწარედ ტიროდა თვითონ ავადმყოფიც. მწუხარების ჟამს გამოჩნდა სხვა მეურნალი, ყოვლადკეთილი, უმშვენიერესი და მხესავით მბრწყინვალე დედოფალი, რომელიც სნეულს ძილში გამოეცხადა, ანუგეშა, სრულ განკურნებას შეჰპირდა და აუწყა: "უთხარი შენს მამას, რომ ჩამობრძანოს ივერიელთა მონასტრიდან კარიბჭის ღმრთისმშობლის ხატი". ეს თხოვნა სასწრაფოდ გადასცეს ათონის ივერთა სავანის მამებს, რომლებმაც დიდი მოწიწებით – მარხვითა და ღოცვით შეასრულეს საკვირველთმოქმედი ხატის ასლი და გამოგზავნეს რუსეთში.

1648 წლის 13 ოქტომბერს პატიოსანი ხატი მოსკოვში ჩამობრძანდა. ქალაქი დილაადრიან დაცარიელდა, რადგან მისი მკვიდრნი მეფისა და პატრიარქის წინამძღოლობით ხატის შესახვედრად გავიდნენ. მეფის სნეულმა ასულმა არაფერი იცოდა მომხდარი ამბის შესახებ. როცა იკითხა, თუ სად იყო წასული დედა, მოახლისგან ასეთი პასუხი მიიღო: "დღეს მობრძანდება ივერიის ღმრთისმშობელი შენს განსაკურნებლად და ყველა, მათთან ერთად კი დედაშენიც, მის შესახვედრად არიანო წასული". "როგორ, – წამოიძახა ასულმა, – ყოვლადწმიდა მობრძანდება და მე დამტოვეს?" მაშინვე წამოდგა საწოლიდან, სასწრაფოდ შეიმოსა და გაბრაზებული ქუჩაში გაიქცა. იქ ხატის შესახვედრად მიმავალი ხალხის ჯგუფს შეუერთდა, იპოვა მშობლები და უსაყვედურა, თუ რატომ დატოვეს იგი სახლში. ყველამ იხილა ღმრთის დიდი სასწაული – უიმედო

ავადმყოფი სრულიად განკურნებულიყო ახლახან ჩამობრძანებული ივერიის ღმრთისმშობლის ხატის მადლით.

ხალხის მიერ წმიდა ხატის თაყვანისცემის შემდეგ მეფემ ასე მიმართა ივერთა მონასტრის წარგზავნილთ: "თქვენ გადმოგცემთ დედაქალაქის ერთ-ერთ საუკეთესო და ისტორიულ მონასტერს წმიდა ნიკოლოზის სახელობისა, ჩემი სასახლის მახლობლად, კარებთან მდებარეს; 70 მსახურს, რომლებიც იქნებიან ჩემს კმაყოფაზე და ჩემი სალაროდან მიიღებენ ანაზღაურებას. წლიურად გექნებათ 25 ათასი მანეთის დახმარება და რუსეთში შემოსვლა-გასვლის პრივილეგია, გექნებათ მანამ, სანამ მზე იარსებებს... ივერიის ღმრთისმშობლის ყოვლადღირსეულ ხატს კი აუუგებ ბრწყინვალე ტაძარს დედაქალაქის კარიბჭესთან და იქ დავაბრძანებ, რათა ჩვენც თაყვანი ვსცეთ ღმრთისმშობელს, ვითარცა მეკარეს ჩვენი ქალაქისას და დარაჯს სრულიად რუსეთისას".

მართლაც, მოსკოვის უფლის აღდგომის სახელობის კარიბჭესთან, ქალაქის ყველაზე თვალსაჩინო ადგილას ივერიის ღმრთისმშობლის ხატის პატივსაცემად აიგო სამლოცველო, რომელიც მუდამ ღია იყო წლის ნებისმიერ დროს. ვის აღარ შეხვდებოდი აქ, რომელი ფენისა თუ წოდების ადამიანს: გლეხები და ხელოსნები, ბერ-მონაზონნი და სამღვდელონი, დიდგვაროვანნი და მეფენი – ყველანი ამ უსასრულო ქრისტიანულ ოკეანეში იყვნენ ერთსულოვანნი კაცთა მოღვმის ჭეშმარიტი და ერთი დედისადმი თავიანთ ღოცვაში. დღისით და ღამით, ორნახევარი საუკუნის განმავლობაში არ წყდებოდა ივერიის ხატის თაყვანსაცემად მომავალ მორწმუნეთა ნაკადი. ათონის მთის მსგავსად ივერიის ღმრთისმშობლის ხატი გახდა მფარველი მოსკოვ-ქალაქისა.

რადგან ეს მისი ძღვენი იყო ღმრთისმშობლისადმი

ამავე ხანებში მოხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. პატრიარქმა ნიკონმა, რომელსაც ძლიერ უყვარდა ივერიის ღმრთისმშობლის ხატი და დიდი სურვილი ჰქონდა, რათა იგი გამხდარიყო მის მიერ ვალდაის ტბაზე ათონის ივერთა სავანის გეგმის მიხედვით აგებული მონასტრის მთავარი სიწმინდე, მეფის თანხმობით ათონის წმიდა მთაზე გაგზავნა გამოცდილი ხატმწერნი და დაავალა მათ კარიბჭის ხატის ასლის შექმნა. რუსეთისაკენ მომავალ ხატს გზაზე საკვირველი რამ შეემთხვა. როცა ხატის თანმხლებმა ბერებმა კორნილემ და ნიკიფორემ მიაღწიეს მდინარე დუნაის, აღმოაჩინეს, რომ მათ არ ჰყოფნიდათ სახსრები, რათა გადაეხადათ მდინარეზე გადასვლის საფასური მაჰმადიანი მენავეებისთვის. ბერებმა ვერ შეძლეს თანხის შოვნა და გადაწყვიტეს ხატთან ერთად ათონზე დაბრუნება. ღამით მათ ღმრთისმშობელი გამოეცხადა ძილში და დაარწმუნა, რომ ისინი კეთილად დაასრულებდნენ გზას. იმავე ღამეს ღმრთის დედა გამოეცხადა კეთილმორწმუნე მართლმადიდებელ ბერძენს მანუილს და უბრძანა, დახმარებოდა ბერებს. მანუილმა გადაუხადა მგზავრობის საფასური მენავეებს, და ბერებმაც შეძლეს გზის გაგრძელება. მოსკოვში ჩასვლისთანავე მათ პატრიარქს უამბეს მომხდარის შესახებ. ნიკონმა მაშინვე გაუგზავნა თანხა მანუილს, მაგრამ მან ფულზე უარი თქვა, რადგან ეს მისი ძღვენი იყო ღმრთისმშობლისადმი.

წინ ხომ თვითონ უფლის დედა მიდიოდა

davubrundeT ისევ მოსკოვის ივერიის ღმრთისმშობლის ხატის ამბავს. როდესაც ქალაქის მცხოვრებთა თხოვნით დაიწყო ხატის შემოტარება ტაძრებში, ოჯახებში, უძღურებასა და

სწეულებასში მყოფთა სანუგეშებლად, მისგან გადაიღეს ზუსტი ასლი, რომელიც სამლოცველოში რჩებოდა მთავარი ხატის იქ არყოფნის დროს. იმდენად დიდი იყო მოსკოველთა შორის "ივერიის დედის" შინ მიღების სურვილი, რომ იგი ღამის საათებშიც მოგზაურობდა ქალაქში; ფაქტიურად ხატს ოთხთვადიდან არ იღებდნენ.

მოსკოვში ალბათ არ დარჩენილა არც ერთი ძველი სახლი ივერიის ღმრთისმშობლის ხატის სტუმრობის გარეშე. მასთან შეხვედრისას ხალხის უმეტესობა მუხლებზე დგებოდა, თოვლშიც და წვიმაშიც, წინ ხომ თვითონ უფლის დედა მიდიოდა. ხალხი ყოველი მხრიდან მოილტვოდა, რათა ეხილათ ყოვლადუბიწოს სახე, ამიტომაც ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდებოდა მათი მოწყვეტა კარებიდან, რომ ხატს კვლავ გაეგრძელებინა გზა. რევოლუციამდე მოსკოვში ძნელად თუ ნახავდით კაცს, რომელსაც თავისი ცხოვრების მანძილზე ღოცვით არ მიემართოს ივერიის ღმრთისმშობლის ხატისათვის და არ მიეღოს მისგან იმედი და ნუგეში. ქალწული თავისი უსაზღვრო წყალობით აღავსებდა უკლებლივ ყველას, ვინც კი მხურვალე რწმენითა და წრფელი გულით შეუვრდებოდა მის წმიდა ხატს. ხშირად იგი შეეწეოდა განხეთქილებაში მყოფ ძველ-მართლმადიდებელთ, მწვალებელთ და ათეისტებსაც კი და დედა-ეკლესიის წიაღში აბრუნებდა მათ.

ყველა მეფე თავს მოვალედ თვლიდა

ruseTis ისტორიის გადამწყვეტ მომენტებში, ომებისა და სახალხო უბედურებების ჟამს, ათეულობით ათასი მოსკოველი ესწრებოდა ივერიის ღმრთისმშობლის ხატის წინ აღვლენილ პარაკლისებს. ხატი მუდამ მონაწილეობდა დიდ სადღესასწაულო მოვლენებში – ეკლესიების საფუძვლის ჩაყრასა და კურთხევაში, ლიტანიობით მსვლელობებში. იმპერატორ პავლე პირველის დროიდან რუსეთის ყველა მეფე თავს მოვალედ თვლიდა, კრემლში აღდგომის კარიბჭის გავლით შესულიყო და მუხლი მოედრიკა წმიდა ხატის წინაშე. მოსკოვში ჩამოსვლისას რუსეთის უკანასკნელი იმპერატორი, უღმერთოთა მიერ მოკლული ნიკოლოზ მეორე, უწინარესად ივერიის ღმრთისმშობელს სცემდა თაყვანს. კურთხევის წინ მისმა მეუღლემ, იმპერატრიცა ალექსანდრამ, რომელმაც შემდგომში მასთან ერთად გაიზიარა მოწამეობრივი გვირგვინი, ღამით ფარულად მოილოცა ხატი და მეოხება სთხოვა ღმრთისმშობელს. ამ ხატს ასევე ღრმა პატივის სცემდა წმიდა ახალმოწამე ელისაბედი, რომელმაც 1894 წელს დააარსა მოსკოვში პირველი მოწყალების საგანე-სახელწოდებით ივერიისა. ამ საგანესთან 1901 წელს აიგო ივერიის ღმრთისმშობლის ხატის ეკლესია. შვიდი წლის შემდეგ, 1908 წელს, მოსკოვის წმიდა ნიკოლოზის მონასტერში აკურთხეს კიდევ ერთი უზარმაზარი ხუთგუმბათოვანი ტაძარი ივერიის ხატის საპატივისცემოდ. მოსკოვის დონის საგანე, სადაც დაკრძალული არიან ქართველი მეფე არჩილი, მეფისწულნი და სხვა მოღვაწენი, არჩილის ასულის, დარიას თხოვნით ხელდასხმულ იქნა ივერიის ღმრთისმშობლის მონასტრად.

უღმერთო სახელმწიფოს გულში იდგა პატარა სამლოცველო

ruseTis თავს დამტყდარი ოქტომბრის რევოლუცია და მის შედეგად ქვეყნის სათავეში მოსული ღმრთისმბრძოლი ხელისუფლება, რომელმაც მანამდე არნახული დევნა გამოაცხადა ეკლესიაზე, უძღური აღმოჩნდა აღმოეფხვრა ხალხის მიერ ხატის თაყვანისცემა. ჭეშმარიტად, ღმრთისმშობლის გამოუთქმელი სიყვარულის დასტური იყო ის ფაქტი, რომ მსოფლიოს ის-

ტორიაში ყველაზე დიდი და მორწმუნეთა მიმართ თავისი სიძულვილით გამორჩეული უღმერთო სახელმწიფოს გულში იდგა პატარა სამლოცველო, სადაც არ წყდებოდა ღმრთისა და მისი ყოვლადწმიდა დედის ქება-დიდება. 1929 წლის 16/29 ივლისის ღამეს სამლოცველო მიწასთან გაასწორეს, თავად ხატი კი გადამალეს და შემდგომში უფლის აღდგომის ტაძარში გადაიტანეს. ბოლშევიკების მიერ ჩადენილმა მკრეხელობამ თავზარი დასცა ქრისტიანულ რუსეთს. მართლმადიდებელნი თავის თავში მაინც ნახულობდნენ ძალას, სიცოცხლის რისკის ფასად მოსულიყვნენ და ელოცათ ამ წმიდა ადგილას. არ არის შემთხვევითი, რომ სამლოცველოს დანგრევის შემდეგ ღმრთისმშობელმა ინება თავისი ხატის იმ ტაძარში გადაბრძანება, სადაც ადგილი ჰქონდა რუსეთის ეკლესიის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენებს. აქ გაიმართა 1945 წელს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის კრება, რომელმაც მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქად აირჩია ალექსი პირველი.

რათა გამოესყიდათ მძიმე ცოდვა ღმრთის წინაშე

moskovis სამლოცველოს დანგრევის საშინელმა ამბავმა მცირე ხანში სერბეთს მიაღწია, სადაც მრავალი რუსი ლტოლვილი ცხოვრობდა. მათ მაშინვე ერთსულოვნად გადაწყვიტეს, აეგოთ სამლოცველოს ზუსტი ასლი ბელგრადში. ყველას სურდა თავისი მოკრძალებული წვლილი გაეღო, რათა გამოესყიდათ მძიმე ცოდვა ღმრთის წინაშე. ამ საქმეში მათ დიდი თანადგომა ჰპოვეს სერბი ხალხის მხრიდან. როგორც სამი საუკუნის წინათ, ათონელმა ბერებმა კვლავ შეასრულეს ივერიის საკვირველთმოქმედი ხატის ასლი და უსასყიდლოდ გამოგზავნეს სერბეთში. აურაცხელი ხალხი შეეგება სიწმინდეს; მსველელობამ ღმრთისმშობლის დაუფლომლის გალობით გადაკვეთა ბელგრადი და ხატი ახლადაგებულ სამლოცველოში დაასვენა. აი, რას წერდა ამის შესახებ თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი მღვდელთმოდგარი იოანე (მაქსიმოვიჩი): "1931 წლის 22 ივნისს ბელგრადში საზეიმოდ აკურთხეს ტაძარი-სამლოცველო ივერიის ღმრთისმშობლის ხატის პატივსაცემად. კურთხევა შეასრულა სერბეთის პატრიარქმა ბარნაბამ კიევისა და გალიციის მიტროპოლიტ ანტონისა და ლონდონის ეპისკოპოს ნიკოლოზთან ერთად. სახელების რა საკვირველი შეთანხმებაა! აღმოსავლეთი (ივერია – საქართველო) და დასავლეთის დედაქალაქი ლონდონი, რუსი ხალხის წმიდა ემბაზის იერარქი, რომლის პატრიარქიც ოდესღაც იწოდებოდა "ყველა ჩრდილო ქვეყნის" პატრიარქად, და სამხრეთი სლავების პირველიერარქი – ყველაფერი ეს ერთდება "უპატიოსნესსა ქერუბიმთასა"-ს სადიდებელ დღესასწაულში.

მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება ეს მოვლენა, თუკი გავიხსენებთ, რომ იმ დღეს, როდესაც ბელგრადის ქუჩებში მოასვენებდნენ ზეციური დედოფლის წილხვედრი კუთხიდან – ათონის წმიდა მთიდან მობრძანებულ ხატს ქრისტიანთა მოდგმის მეოხისა, – ზუსტად იმ დღეს შესრულდა მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების გახსნიდან 1500 წელი, როდესაც საღამო ჟამს ხალხი ზეიმით ესალმებოდა ღმრთისმშობლის თაყვანისცემის დამცველ წმიდა მამებს და გმობდა მის შეურაცხყოფელ მწვალებელთ. სივრცითა თუ დროით ერთმანეთისგან მოშორებული მართლმადიდებელი ქრისტიანები ერთიანდებიან თავიანთ სიყვარულში მისდამი, რომელმაც შვა ზეცისა და მიწის გამაერთიანებელი. ჭეშმარიტად აღსრულდა და სრულდება ღმრთისმშობლის სიტყვები: "ამიერიდან მნატრიდენ მე ყოველნი ნათესავნი".

1933 წელს ივერიის ღმრთისმშობლის ხატის სამლოცველო აიგო დედამიწის მეორე კუთხეში – შორეულ მანჯურიაში. ხარბინის მცხოვრებლებმა, რომლებიც დიდ პატივს მიაგებდნენ კარიბჭის

ღმრთისმშობელს, და მისდამი თავიანთი სიყვარულის ნიშნად 1907 წელს ააგეს მშვენიერი ტაძარი მის სახელზე, მოსკოვის სამლოცველოს დანგრევის შემდეგ გადაწვიტეს აგოთ მისი ზუსტი ასლი წმიდა ნიკოლოზის ტაძრის ეზოში. მოგვიანებით აქ ხარბინის სადგურიდან გადმოსვენეს წმიდა ნიკოლოზის საკვირველთმოქმედი ხატი – "მოსუცი სადგურიდან", როგორც მას უწოდებდნენ ჩინელები. მაგრამ უღმერთობამ აქაც იმძლავრა. ჩინეთის კულტურული რევოლუციის დროს 1966 წლის აგვისტოში სამლოცველო ტაძართან ერთად საფუძვლამდე დაანგრიეს, მასში მყოფი ხატები კი გამოიტანეს და დაწვეს.

1995 წლის ოქტომბერში მართლმადიდებელი მოსკოვი თავის ისტორიაში მეორედ ზეიმით შეხვდა ათონის წმიდა მთიდან ჩამობრძანებულ ივერიის ღმრთისმშობლის ხატს. ამ მოვლენამდე მცირე ხნით ადრე საფუძველი ჩაეყარა და კეთილი ადამიანების გულმოდგინებით აღდგა დანგრეული აღდგომის კარიბჭე და ივერიის ხატის სამლოცველო, სადაც დაივანა კარიბჭის ხატის ახალმა ასლმა. აღსანიშნავია, რომ წარსულში ათონიდან ჩამოსვენებული ივერიის ხატის ორი საკვირველთმოქმედი ასლის მიხედვით შეიქმნა მრავალი სხვა ასლი, რომელიც მთელს რუსეთში გავრცელდა და დროთა მანძილზე ასევე სასწაულებით განიდიდა.

iveriis RmrTismSoblis xati saqarTvelosa da sruliad kavkasiaSi

რომ არა ყოველადწმიდა ღმრთისმშობლის მეოხება

"Cven, eri qarTveli და საქართველოს ეკლესია, არის ერთი უძველესთა ვენახთა ღმრთისთაგანი... – წერდა წმიდა გაბრიელ ეპისკოპოსი, – ორი ათას წელიწადზე მეტი იქნება, რაც დაიწყო ერთ-მეფობა იმ ქვეყანაში, სადაც ახლა ქართველნი სცხოვრობენ. უწინ ივინი იყვნენ წარმართნი, კერპთ-მსახურნი, მსგავსად გარემოსთ მყოფთა მათთა სახელმწიფოთა. მეოთხე საუკუნეში, ესე იგი ათას ხუთასი წელიწადის წინ, ქართველთა მიიღეს ქრისტე იესოს მართლმადიდებელი სჯული. მასუკან მათ გადაემტერნენ, იწყეს მათი დევნა ყოველთა გარემოს ერთა და მეფეთა. ჯერ კერპთ-მსახურთა და მერე მაჰმადიანთა. ყოველი მხრითგან გლეჯდნენ მას, ვითარცა მგელი ცხვართა. განცვიფრდება კაცის გონება, როდესაც წარმოიდგენს, რამდენი შური, მტრობა და რამდენი განსაცდელი ეწვია ჩვენსა ქვეყანასა განგრობასა შინა ამოდენათა საუკუნეთასა! უმეტესად განცვიფრდება და იკითხავს თავის გულში კაცი: რამ დაიფარა, როგორ გადაურჩა ეს ერთი მუჭა ერი ამდენსა ჭირსა, მაშინ როდესაც გარემოს მისსა დაეცნენ და განქარდნენ უმძლავრესნი მეფობანი და ერნი... რამ დაიცვა ქართველები, როგორ მოხდა, რომ ჩვენი ერი არ მოისპო, არ განქარდა და ჩვენი სახსენებელი დარჩა ქვეყანასა ზედა? მიზეზი ამისი არის რომ ჩვენი ერი იყო ყოველთვის ერთგული საღმრთოსა სჯულისა და ღმერთიც იფარვიდა მას მეოხებითა და ვედრებითა დედისა მისისათა, რომელსა წილად ერგო ივერია და ერი ივერიისა. ეს მცირე ერთი მუჭა ერი გადარჩა, აღორძინდა, განათლდა; ხოლო ურიცხვნი მათნი მტერნი განქარდნენ". ჭეშმარიტად, რომ არა ყოველადწმიდა ღმრთისმშობლის მეოხება და ჩვენი წინაპრების ერთგულება მართლმადიდებელი ეკლესიისადმი, საქართველო აღარ იარსებებდა მსოფლიოს რუკაზე. დღეს საქართველოში ძნელად თუ ნახავთ კეთილმორწმუნე ქრისტიანულ ოჯახს, სადაც არ ინახავდნენ და თაყვანს არ სცემდნენ ივერიის ღმრთისმშობლის ხატს. ამის მსგავსად, ივერიის მიწაზე ალბათ არ მოიპოვება კუთხე, სადაც არ მიბრძანებულიყოს ივერიის ხატის ასლი, მეტწილად ათონის წმიდა მთაზე დაწერილი ვითარცა ლოცვა-კურთხევა საქართველოსთვის. ყოველდღივით ქალწული თავისი ივერიის ხატის ასლთა ძალით სულიერად აერთიანებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს და მათში დამკვიდრებულ მართლმადიდებელთ, განურჩევლად ეროვნებისა, და თავისი დედობრივი საფარველის ქვეშ შემოჰკრებს მათ, ვითარცა ქრისტეს ეკლესიის ერთ სამწყსოს.

უბრძანა, ქალაქს არ მიჰკარებოდა

RmrTis იღუმალი განგებით, საქართველოში შემობრძანებული ივერიის ღმრთისმშობლის ხატის პირველი ასლი შეიქნა სრულიად კავკასიის მფარველი. XIII საუკუნეში კეთილმორწმუნე მეფე თამარმა ხატი მიუძღვნა ოსეთის სოფელ მარიამკაუს ახლადმოქცეულ ქრისტიანებს. ხატი სამგზის უვნებლად გადარჩა ხანძარში და დროთა განმავლობაში მართლმადიდებელ ოსთა სათაყვანებელ სიწმინდედ იქცა. როდესაც 1768 წელს რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე მეორის განკარგულებით ოსებს მშობლიური სოფლის დატოვება და უცხო მხარეში გადასახლება მოუწიათ, მათ თან წაიღეს საკვირველთმოქმედი ხატიც. მდინარე თერგის ნაპირას ქალაქ მოზდოკთან მოხდა სასწაული: ღამის გასათევად მოწყობილი ხალხის თვალწინ ხატი გაბრწყინდა და მთელს ბანაკსა და

ახლომდებარე ადგილებს ზეციური ნათელი მოჰფინა. ერთ-ერთ ოსს ძილში ჰქონდა ხილვა – ღმრთისმშობელს სურდა ხატი აქვე დაეტოვებინათ. მართლაც ასე მოხდა: მეორე დღეს დიდი ძალისხმევით მიუხედავად ხარები, რომლებსაც უნდა ეტარებინათ ოთხოვალაზე მოთავსებული წმიდა ხატი, ადგილიდან არ დაიძრნენ. მოზდოკის ეპისკოპოსმა გაიოზმა სამლოცველო ააშენა ამ ხატისათვის. 1796-1797 წლებში მის ადგილას აიგო ტაძარი ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელზე, რომელთანაც მალე დედათა მონასტერი დაარსდა. სავანე გაუქმდა ორიოდე წლის შემდეგ მოზდოკის ეპარქიასთან ერთად. XIX საუკუნის მიწურულს მოზდოკის მცხოვრებლებმა დიდებული ტაძარი აღაშენეს ივერიის ღმრთისმშობლის ხატის პატივსაცემად.

გადმოცემით, როდესაც 1817-1864 წლების კავკასიის ომის დროს შამილი თავისი ჯარებით მოზდოკს მიუახლოვდა, მას ხილვაში გამოეცხადა თეთრით მოსილი ქალი და უბრძანა, ქალაქს არ მიჰკარებოდა.

საკვირველთმოქმედი ხატის დიდება მთელს კავკასიაში გავრცელდა. ხალხი ღმრთისმშობელს აღთქმას აძლევდა და შორეული ადგილებიდან ფეხით მოდიოდა მასთან. ყოველ წელს ხატი გადაჰქონდათ ვლადიკავკაზში, სადაც ერთი თვით რჩებოდა. მორწმუნეთა თხოვნით, იგი კავკასიის სხვადასხვა სოფლებშიც მოგზაურობდა. მისგან უხვად მოედინებოდა საკვირველებანი და მადლმოსილი კურნებანი. მოზდოკის ივერიის ხატის დღესასწაული აღინიშნება სულთმოფენობის განზოგებისა და ღმრთისმშობლის მიძინების დღეს. მხოლოდ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისადმი მხურვალე ღოცვას და მის მეოხებას შეუძლია მოუტანოს მშვიდობა კავკასიის ხალხებს და განკურნოს აქ აბობოქრებული ომების მიერ მიყენებული ჭრილობები.

ღმრთის დედის სიყვარულით ნაწყალობევი

xangrZlivi დროის მანძილზე ივერიის ღმრთისმშობლის ხატი ფხიზელ მცველად ედგა თავისი წილხვედრი ქვეყნის უკიდურეს დასავლეთ ნაწილს – აფხაზეთს. ივერიის ხატის გამოცხადებამდე აფხაზეთის მადლმოსილმა მიწამ მიიღო და თავის გულში ჩაიკრა უფლის წმიდა მოციქული, სვიმონ კანანელი, ქრისტეს სიყვარულისთვის წარმართთაგან ჯვარცმული, და მსოფლიოს დიდი მნათობი და მღვდელმთავარი, წმიდა იოანე ოქროპირი, რომელიც ბიჭვინთისაკენ მიმავალ გზაზე გამოეთხოვა წუთისოფელს და კათოლიკე სამოციქულო ეკლესიას უსახსოვრა ღმრთისმოსაობის შეუდარებელი მაგალითი: მას შემდეგ, რაც ყოველგვარი უბედურება გადაიტანა, – სნეულებანი, მწუხარება, დევნა, მარტოობა, სიძულვილი, წმიდა იოანე ოქროპირმა წარმოთქვა: "დიდება ღმერთს ყველაფრისათვის", ანდა, როგორც ჩვენს წინაპრებს უთარგმნიათ, – "დიდება შენდა, უფალო, ყოველთა ზედა ყოვლისათვის". წმიდა იოანე კომანში დაკრძალეს, წმიდა მღვდელმოწამე ვასილისკოს წამების ადგილის მახლობლად, ხოლო მოგვიანებით მისი პატიოსანი სხეული კონსტანტინოპოლში გადაასვენეს. ასეთ წმიდა ადგილებს ზემოდან დაჰყურებს ივერიის ანუ ანაკოფიის მთა, რომელმაც თავისი სახელწოდება მიიღო იმის გამო, რომ აქ გადმოცემის თანახმად გამოცხადდა ივერიის ღმრთისმშობლის ხატი. ადგილობრივი მკვიდრნი უძველესი დროიდან თაყვანს სცემდნენ ამ მთას, რომლის მწვერვალზეც მეოცე საუკუნის დასაწყისში აიგო მცირე სამლოცველო საკვირველთმოქმედი ხატის პატივად. სამლოცველოს გვერდით არის წმიდა ჭა: უკვე რამდენი წელია იღებენ მისგან მლოცველნი წყალს მრავალ სულიერ და ხორციელ სნეულებათა საკურნებლად. თანამედროვე მეცნიერები სხვადასხვა ჰიპოთეზების საშუალებით ამაოდ ცდილობდნენ აეხსნათ, თუ როგორ შეიძლებოდა ეარსება სულ რამდენიმე მეტრის სიღრმის ჭას მწვერვალზე, რომელიც

ერთ-ერთი ყველაზე მაღალია შავი ზღვის მთელს სანაპიროზე. მართლმადიდებელ ქრისტიანთათვის ეს სასწაულია, ღმრთის დედის სიყვარულით ნაწყალობევი.

და შვესწირე გურიის ჯიხეთის დედათა სავანესა

meoce საუკუნის დამდეგს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელმა თავისი ივერიის ხატის ასლი მიჰმადლა გურიის მხარესაც. ათონის მთაზე მოღვაწე ქართველმა მამამ, იოანე ღმრთისმეტყველის სავანის წინამძღვარმა, მღვდელმონაზონმა იონამ, ათონელ ბერებს გურიის ჯიხეთის დედათა მონასტრისათვის დააწერინა ივერიის ღმრთისმშობლის ხატის ასლი და უსახსოვრა დედათა სავანეს. ეს იყო ჟამი, როდესაც გურიაში მძიმე დღე უდგა ეკლესია-მონასტრებს – ხატებს ანადგურებდნენ, მონასტრებს არბევდნენ, სამღვდლო პირებს შეურაცხყოფდნენ. ასეთ დროს მიღებული დიდი სიწმინდე სულიერად აღადგენდა ერსა და ბერს და განამხნევებდა უფლისადმი ერთგულებაში. ჯიხეთის ივერიის ხატი შემკულია მამა იონას დაკვეთით შესრულებული წარწერით: "განგებთა ღ-თისათა, და წამისყოფითა დედისა ღ-თისათა, მე მონა მისი მღვდელმონაზონი იონამ, ამჟამად მყოფი ათონის მთაწმიდის ქართველთა წ-ა იოანე მახარებლის სავანის გამგემან, დავახატვინე წ-ა ხატი ესე სახელწოდებით სასწაულმოქმედი დედა ღ-თისას ივერიის და შვესწირე გურიის ჯიხეთის დედათა სავანესა. დედაო ღვთისაო მარიამ, მომიხსენე მე ცოდვილი, ოდეს მოვიდეს ძე შენი დიდებითა მისითა ჩემის მშობლებით, სულიერი და ხორციელი ძმებითურთ. ამინ. 1905 წელსა 1 აგვისტოსა".

ღმერთმა ინებოს!

iveriis ღმრთისმშობლის ხატის პატივისცემით საქართველოში მისი სახელობის ტაძრებიც შენდებოდა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მათგან უძველესია ფოთში აგებული ტაძარი, რომლის ივერიის ხატის დღესასწაულს ჩვენი ეკლესია სავანგებოდ აღნიშნავს 13/26 ოქტომბერს. საქართველოს ამ კუთხეში – სამეგრელოში, განისვენებს კიდევ ერთი წმიდა ხატი ივერიისა. იგი ამშვენებს თეკლათის მთავარანგელოზთა სავანეს, წმიდა ალექსი ბერის მოღვაწეობისა და დაკრძალვის ადგილს. ამ ხატის წინ ხომ არ ავედრებდა მამა ალექსი უფლის დედას უღმერთობის წყვილადში ჩაძირულ სამშობლოს და სთხოვდა, დაეყენებინა იგი სინანულისა და ჭეშმარიტი რწმენის გზაზე?!

ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა და მისი წმიდა ხატის მაღლი და ძალა პირველად ივერიის უძველეს ქრისტიანულ კუთხეს აჭარას მოეფინა. აქედან შემობრძანდა საქართველოში უფლის პირველწოდებული მოციქული ანდრია და მოგვისვენა ღმრთის დედის ხელთუქმნელი ხატი. იმდროინდელი აჭარის გულში, სოფელ დიდ-აჭარაში შეჩერდა ქრისტეს მოწაფე, და "ადგილსა, რომელსა დაასვენა ხატი ყოვლად-წმიდისა ღმრთისმშობლისა, აღმოცენდა წყარო ფრიად შუენიერი და დიდი", გვაუწყებს მემატინაე. ღმრთის შეწევნით მოციქულმა "ყოველნივე მოაქცივნა და მოიყვანნა სარწმუნოებად", რის შემდეგ განაწესა ღმრთისმსახურების რიგიც – "დაადგინნა მღვდელნი და დიაკონნი და დაუდგა წესი და საზღვარი სარწმუნოებისა". ამ ადგილას წმიდა ანდრიამ ეკლესია აღაშენა ღმრთისმშობლის სახელზე, მერე ადგილობრივი მოსახლეობის მხურვალე თხოვნით ფიცარზე გამოსახა სახე ხატისა და მათთან დატოვა. ასე რომ, ზეციური დედოფლის საფარველი პირველი საუკუნიდანვე პფარავს აჭარასა და სრულიად საქართველოს. რაც შეეხება ივერიის

ღმრთისმშობლის ხატს, 1911 წელს ათონის მთაზე შექმნილი მისი ერთ-ერთი ასლი დღეს ბათუმის ღმრთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარს ამკობს. წმიდა ქალწულმოწამე ბარბარეს სახელობის ეკლესიაში კი ასვენია ივერიის ხატის ახლადშექმნილი ასლი წარწერით: "ეს ხატი დაიწერა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოება "მემორიალის" ქველმოქმედებით, 1937-38 წლებში რეპრესირებულთა სულთა საცხოვნებლად. ქ. ბათუმი. 1998 წ.". ხატის გვერდით წერია: "ეს ხატი ივერიის ღმრთისმშობლის კარიბჭისა დაიწერა მომავალი ივერიის ღმრთისმშობლის ტაძრისათვის, რომელიც ღმრთის ნებით აშენდება აჭარაში". ღმერთმა ინებოს!

და საგანგებოდვე დაისაჯა

ივერიის ღმრთისმშობლის ხატის საკვირველთმოქმედი ასლი განსაკუთრებული სამკაულია კახეთის მიწაზე. ბოდბის დედათა საგანეში დაკრძალული ქართველთა განმანათლებლის წმიდა ნინოს საფლავისა. ეს ხატი ათონის მთაზე დაიწერა 1905 წელს. როდესაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მონასტერი გაუქმდა და დედეები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ, სავანის ტერიტორიაზე საავადმყოფო გაიხსნა და ივერიის ხატს მისი პერსონალი მაგიდად იყენებდა. რამდენიმე მონაზონი მოწყალეების დის სახით მონასტერში დარჩა და ფარულად ემსახურებოდა წმიდა ნინოს საფლავს.

მონასტრის მახლობლად დღესაც ცხოვრობს კეთილმორწმუნე ქალი რაისა, რომელიც თავად მოგვითხრობს ამ ამბებს; მისი დედა რენტგენის კაბინეტში სანიტრად მსახურობდა. რამოდენიმე ფარულ მონაზონთაგან ერთ-ერთი რუსეთიდან ჩამოსული დედა მაგდალინაც იყო. მას გაგონილი ჰქონდა, წმიდა ნინო ფეხით ჩავიდაო საქართველოში და მის საფლავთან დამკვიდრება ისურვა. დედა მაგდალინა ფერმწერიც ყოფილა. მას უთხოვია რაისას დედისთვის, როგორღაც გამოვიტხოვოთ ხატი და მე აღვადგენ დაზიანებულ ნაწილებსო. მანამდე კი ასეთი რამ მომხდარა. რენტგენის კაბინეტის ექიმს ხატი სახლში წაუღია და თვითონაც მაგიდად იყენებდა. მცირე ხანში მისი შვილი მძიმე ავად გამხდარა. სიზმარში ექიმს ღმრთისმშობელი გამოცხადებია და უთქვამს, სანამ ხატს ადგილზე არ დააბრუნებ, შენს შვილს არაფერი ეშველებათ. შეშინებულ ექიმს სიწმინდე უკანვე დაუბრუნებია, მაგრამ მიზეზი ხმამაღლა ვერ უთქვამს. მაშინ რაისას დედას შეუთავაზებია, ჩამოვწეროთ როგორც უვარგისი ინვენტარი და აქაურობას გავაცალოთო. მართლაც ასე მოქცეულან. დედა მაგდალინამ სწორედ რაისას სახლში აღადგინა ეს სიწმინდე, მოგვიანებით კი ჩარჩოში ჩაუსვამთ და კვლავ თავის პირვანდელ ადგილზე დაუბრძანებიათ.

ღმრთისმშობლის ამ ხატთან დაკავშირებით გულისტკივილით ყვებიან კიდევ ერთ ამბავს:

იმ სოფელში, სადაც დედათა მონასტერი იმყოფება, ერთი უკეთური კაცი ცხოვრობდა. იგი "ჩეკისტი" იყო და რელიგიურ სიწმინდეებს განსაკუთრებული სიძულვილით შეურაცხყოფდა. სწორედ მან აღმართა ხელი ივერიის ღმრთისმშობლის ხატზე – სახე საგანგებო სიმკაცრით დაუსერა და საგანგებოდვე დაისაჯა; ჯანმრთელი და საღსალამათი ყველასათვის მოულოდნელად გარდაიცვალა. სოფელში დღემდე ლაპარაკობენ, თუ როგორ დაისაჯა მთელი მისი შთამომავლობა, ერთმანეთის მიყოლებით როგორ ამოწყდა მთელი მისი ოჯახი.

დედაქალაქის მკვიდრთა ერთ-ერთ უსაყვარლეს ტაძრად იქცა

ივერიის ღმრთისმშობლის ხატმა მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერშიც ინება, მისუ-
ლიყო და მოწყალებათა დაუწყვეტელი წყარო აღმოედინა იქ მოღვაწე დედებისათვის. ხატის ის-
ტორიას მოგვითხრობს მასზე არსებული წარწერა: "განგებთა სამ მნათობიერისა ღვთისა და წა-
მისყოფითა ყ-დ წმიდისა ღვთისმშობელისათა, მე უნდომან მონამან მისმან, მონაზონმა ილია, ივ-
ერიის მონასტრის ძმათაგანმა, შენდობითა სულიერისა მამისა ჩემისა, სქიმონაზონი მაკარისა, და-
ვახატვინე წმიდა ხატი ესე სახელწოდებით სასწაულმოქმედი დედა ღვთისა ივერიის კარისა და
შევწირე მცხეთის "სამთავროს" ფერისცვალების დედათა მონასტერსა, ვ-ა მფარველად მიუ-
რულებლად, სარწმუნოებითა და შიშითა ღვთისათა მკვიდრთა მას შიდა, ვასრულებ ჩემი წრფელი
გულით დაპირებულსა, სულიერის ძმისა პავლე ჯაფარიძისა, რომელმან მაიძულა ამის სრულყო-
ფად. ყ-დ წმიდაო ღვთისმშობელო მწე და მფარველ გვეყავნ, ამინ! ათონის მთა. წმიდა ივერიის
ქართველთა მონასტერი. 1919 წ.".

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ივერიის ღმრთისმშობლის ხატის ახლად დაარსებული
დედათა საგანგ, რომელიც რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა მარტყოფში უწმიდესისა და უნეტარე-
სის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ღოცვა-კურთხევით.

დასასრულ, მოვიხსენიოთ საქართველოს დედა ქალაქი – თბილისი. იგი, ისევე როგორც
მართლმადიდებლობის ბურჯნი – კონსტანტინოპოლი და კიევი, დაარსებიდანვე ყოველდღეობდა
ღმრთისმშობელს მიეძღვნა. ამის დასტურია ისიც, რომ თბილისის სამი უძველესი ტაძარი – მე-
ტეხი, ანჩისხატი და სიონი ღმრთისმშობლის სახელს ატარებს. ივერიის ღმრთისმშობლის ხატის
სახელობის ეკლესია თბილისში გასული საუკუნის მიწურულს აიგო. ამ ტაძარმა სულ ოციოდე
წელიწადი იარსება; ღმრთისმბრძოლმა ხელისუფლებამ იგი ჯერ დახურა, მერე სხვადასხვა
დანიშნულებისთვის იყენებდა, და ბოლოს მასში აბანო გახსნა. ტაძრის აღდგენა დაიწყო 1989
წელს და დღემდე გრძელდება, წირვა-ლოცვა კი მასში დიდი ხანია განახლდა და იგი
დედაქალაქის მკვიდრთა ერთ-ერთ უსაყვარლეს ტაძრად იქცა.

და უხილავად გადასცემდა ღოცვა-კურთხევას თავისი წილხვედრი ქვეყნისთვის

zustad იმ წელიწადს, როდესაც კეთილმორწმუნე ადამიანებმა ივერიის ღმრთისმშობლის ხა-
ტის ეკლესიის აღდგენას მიჰყვეს ხელი, ზეციურმა დედოფალმა თავისი ივერიის ხატის ასლის
მოსვლით აკურთხა საქართველოს დედაქალაქი. ივერიის მიწაზე სტუმრად მყოფი ათონელი ბერე-
ბისთვის საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს თხოვნით მიუმართავს, რათა
საქართველოსთვის გადაეღოთ ასლი კარიბჭის ხატიდან. ორიოდ წელიწადში ბერძენმა მამებმა
დაასრულეს ასლის შექმნა. ასლის გადაღების შემდეგ, ხატი ორმოცი დღის განმავლობაში მიდე-
ბული ჰქონდათ თავდაპირველ ხატთან, რათა მისგან მიეღო მადლი და ნიჭი. ხატის კურთხევა
შესრულდა ივერიის ღმრთისმშობლის ტაძარში: დედა ხატი აკურთხევდა თავის ასლს და უხი-
ლავად გადასცემდა ღოცვა-კურთხევას თავისი წილხვედრი ქვეყნისთვის – საქართველოსთვის. ივ-
ერიის ხატი თბილისში ჩამობრძანდა 1989 წლის 9 ოქტომბერს, წმიდა მოციქულისა და მახარებ-
ლის იოანე ღმრთისმეტყველის ხსენების დღეს. ათეულობით ათასი ადამიანი შეხვდა სიწმინდეს
და აეროპორტიდან ფეხით მიაცილა იგი სიონის ღმრთისმშობლის მიძინების საკათედრო ტაძ-
რამდე. ეს იყო მართლმადიდებლობის ნამდვილი დღესასწაული ივერიის მიწაზე.

ჭეშმარიტია ქართველი მღვდელმთავრის სიტყვები, რომ "მართლმადიდებელ სარწმუნოებას უმოქმედებია და უნუგეშებია ქართველი ერი, როგორც განსაცდელისა და გაჭირვების ჟამს, ისე შვეებისა და შეღავათის დროს. ყოველი ნაბიჯი ჩვენი ხალხისა ძველად აღიბეჭდებოდა ღრმა, გულითადი და შეურყეველი სიყვარულით სამშობლო ეკლესიისა და სარწმუნოებისადმი. ყველაფერზე უპირველესი და ყველაზე უმაღლესი ქართველი ხალხისათვის იყო სარწმუნოება. სარწმუნოებისა და ეკლესიის დაცვა-შენახვა იყო უმთავრესი საგანი გარეშე მტრებთან განუწყვეტელი ბრძოლისა. ქართველი ერი მუდამ მზადა ყოფილა განეწირა თავი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესთვის, ყოვლად წმიდა ღვთისმშობლისა და მთლად ქრისტიანობის გულისათვის. წმიდა სარწმუნოებისათვის თავი დასდევს და ეწამნენ ყოველი წოდების წარმომადგენელი: მეფენი და თავადნი, აზნაურნი, სამღვდელონი, მოვაჭრენი და გლეხნი, სარწმუნოების სიყვარულისა და ერთგულების გამო გადაულახავთ ქართველებს მრავალი განუვალი უფსკრულები, გასულან დიდრონსა და საშიშ მდინარეებს, ასულან მაღალ და მიუვალ მწვერვალებზე, დაუპყრიათ და დაურღვევიათ უძველესი სიმაგრენი, დაუთმენიათ მრავალი შიმშილი, წყურვილი, სიცივე და ასე თავიანთი სამშობლო ეკლესიისა და საყვარელი მამულისათვის აუცილებლიათ განსაცდელი... ჭეშმარიტად ძველ ქართველს საბუთი ჰქონდა ეთქვა და ამბობდა კიდევაც: "ესე არს ძლევა, რომლითა სძლევს სოფელსა სარწმუნოება ჩვენი" (I იოან. 5, 4)" (ეპისკოპოსი ლეონიდე ოქროპირიძე).

ვმადლობდეთ უფალსა და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელს, რომ ჭეშმარიტი სარწმუნოების შემეცნების ღირსი გაგვხადა და თავისი საფარველი მოგვმადლა. და "ვევედროთ მაცხოვარსა ჩვენსა არ მოაკლოს ჩვენსა ერსა და ქვეყანასა მისი მფარველობა და ყოვლად წმიდა დედა მისი მარადის უყურებდეს ამ ქვეყანასა, ვითარცა წილ ხვდომილსა თვისის საკუთარი მფარველობისასა. ამინ!"

**daujdomeli ufrosad kurTxeulisa
didebulisa dedoflisa Cvenisa
RmrTismSobelisa da maradis
qalwulisa mariamisa**

კონდაკი 1.

ზესთამბრძოლისა ჩემისათვის და მოღუაწისა უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ ჰქსნილნი განსაცდელთაგან, სამადლობელსა აღვჰსწერთ ღმრთისმშობელო ქალწულო შენდა მომართ მონანი შენნი, არამედ ვითარცა გაქუს ძლიერებაჲ უბრძოლუელი, ყოველთაგან ვნებათა განმათავისუფლენ ჩუენ, რათა გიგალობდეთ შენ კურთხეულო, გიხაროდენ, სძალო უსძლოო:

იკოსი 1.

ანგელოსი წინამდგომი ზეცით მოივლინა, ჰრქმად ღმრთისმშობელისად: გიხაროდენ, და უსხეულოსა სიტყვსა სხეულევან ქმნილისა, შენი მხილველი უფალო განჰკურდა, და დაჰსდგა მკმობელი ესე ვითართა:

გიხაროდენ, რომლისა მიერ სიხარული გამობრწყინდების.

გიხაროდენ, რომლისა მიერ წყევად მოაკლდების.

გიხაროდენ, დაცემულისა ადამის აღდგომაო.

გიხაროდენ, ცრემლთა ევასთა ხსნაო.

გიხაროდენ, სიმაღლეო ძლით აღსავალო კაცობრივთა გულისსიტყუათაო.

გიხაროდენ, სიღრმეო ძლით სახილუელო ანგელოსთაცა თუალებისაო.

გიხაროდენ, რამეთუ ხარ საყდარ მეუფისა.

გიხაროდენ, რამეთუ ჰმტვრთუელობ ყოველთა მტვრთუელსა.

გიხაროდენ, ვარსკულაო მომფენელო მზისაო.

გიხაროდენ, წიაღო ღმრთის განჯორციელებისაო.

გიხაროდენ, რომლისა მიერ განახლდების დაბადებუელი.

გიხაროდენ, რომლისა მიერ თაყუანის-იცემების დამბადებელი.

გიხაროდენ, სძალო უსძლოო:

კონდაკი 2.

მხედველი წმიდა თავისა თვისისა უბიწოებით, ეტყოდა გაბრიელს კადნიერებით, საკურუ-
ელებად კმისა შენისა ძნიად მისათვალუელ უჩნს სულსა ჩემსა, რამეთუ უთესლოდსა მიდგომილ-
ბისა შობასა წინასწარ იტყუ, მკმობელი, აღელუია:

იკოხი 2.

ცნობისა უცნაურისა ცნობასა მეძიებელმან, ქალწულმან კმა-ჰყო მსახურისა მიმართ:
წიაღთაგან უბიწოთა, ძისა ვითარ არს შობა შესაძრწუნებელი, მითხარ მე, რომლისა მიმართ
იტყოდა იგი შიშით გარნა მკმობელი ესრეთ:

გიხაროდენ, მესაიდუმლო განზრახვსა გამოუთქმელისაო.

გიხაროდენ, წყაროო მქონეო სარწმუნოებისაო.

გიხაროდენ, დასაბამო ქრისტეს საკურუელებათაო.

გიხაროდენ, თავო ჰსჯულთა მისთაო.

გიხაროდენ, კიბეო ზეცისაო, რომლისა მიერ გარდამოვდა ღმერთი.

გიხაროდენ, კილო წიაღ-მყუნებელო ქუეყანისათაო ცად მიმართ.

გიხაროდენ, ანგელოსთა მრავალ-განთქმულო საკურუელებაო.

გიხაროდენ, ეშმაკთა მრავალ-საგოდებელო წყლულებაო.

გიხაროდენ, ნათლისა გამოუთქმელისა მშობელო.

გიხაროდენ, თუ ვითარ არა ვისო მსწავლელო.

გიხაროდენ, ბრძენთასა ზესთა ქმნილო მეცნიერებასა.

გიხაროდენ, მორწმუნეთასა განმაბრწყინებელო მცნობელობასა.

გიხაროდენ, სძალო უსძლო:

კონდაკი 3.

ძალი მადლისა აგრილებდა მაშინ მიდგომისათუს უქორწინებელსა, და ნაყოფიერებისაგან
საშოდსა მისისა, ვითარცა აგარაკისაგან აჩუნა სიტკობედა ყოველთა მნებებელთა, მოსთულეებასა
მაცხოვარებისასა, გალობით ესრეთ, აღელუია:

იკოხი 3.

მქონებელი ღმრთისშემწყნარებელისა საშოდსა ქალწული აღვდა ელისაბედის მიმართ.
ხოლო ჩხულმან მისმან მეყუსეულად აგრძნა რა მოკითხუა მისი ჰკრთებოდა, და კრთომით ვი-
თარცა გალობით ჰკმობდა ღმრთისმშობელისა მიმართ:

გიხაროდენ, ვაზო მორჩისა დაუჭნობელისაო.

გიხაროდენ, ქუეყანაო უკუდავისა ნაყოფისაო.

გისაროდენ, მენერგესა ცხოურებისა ჩუენისასა აღმომაცენებელი.
გისაროდენ, მუშაკისა კაცთმოყუარისა მომმუშაკებელი.
გისაროდენ, ორნატო გამომღებელი ნაყოფსა წყალობისასა.
გისაროდენ, ტაბლათო მტვრთუელი უხუებასა ღხინებისასა.
გისაროდენ, რამეთუ განჰზადებ ნავთსაყუდელსა სულთასა.
გისაროდენ, რამეთუ აღმომორჩებ ყუავილსა საშუებელთასა.
გისაროდენ, მითუალულო მეოხებისა საკმეველი.
გისაროდენ, ყოვლისა სოფლისა საღხინებელი.

გისაროდენ, ღმრთისა მოკუდავთა მომართ სათნო-ყოფათ.
გისაროდენ, მოკუდავთა ღმრთისა მიმართ კადნიერებათ.
გისაროდენ, სძალო უსძლოთ:

კონდაკი 4.

ღელუასა შინაგან მქონებელი გულისსიტყუათა იჭუეულთასა, მართალი იოსებ შეშფოთნა, რამეთუ უქორწინებელსა გხედვიდა შენ, დაფარულსა ქორწილსა აზმნობდა შენთვის უბიწოთ. ხოლო ისწავა რა მიდგომად შენი სულისა მიერ წმიდისა, კმაჰყო: აღელუია:

იკოხი 4.

ესმა მწყემსთა ანგელოსთაგან მგალობელთა, კორციელი მოსლუად ქრისტესი, და ვითარცა მწყემსისა მიმართ მსრბოლთა იხილეს იგი, ვითარცა კრავი უმანკოდ, მუცელსა შინა მარიამისსა აღზრდილად, რომლისა მგალობელთა ჰსთქუეს:

გისაროდენ, ტარიგისა და მწყემსისა დედათ.
გისაროდენ, ქნარო სიტყუერთა ცხოვართათ.
გისაროდენ, უხილავთა მკვეცთა მათებელი.
გისაროდენ, სამოთხისა ბჭეთა განმღებელი.
გისაროდენ, რამეთუ ზეცისანი ქუეყანისათა თანა იხარებენ.
გისაროდენ, რამეთუ ქუეყანისანი ზეცისათა თანა მწყობრობენ.
გისაროდენ, დაუღუმებელი პირო მოციქულთათ.
გისაროდენ, უძლეველი ახოვნებათ ღუაწლით-შემოსილთათ.
გისაროდენ, სარწმუნოებისა ხარისხო მტკიცეთ.
გისაროდენ, მადლისა საცნაურისა ბრწყინვალეებათ.
გისაროდენ, რომლისა მიერ განჰშიშუელდა ჯოჯოხეთისა მძლავრება.
გისაროდენ, რომლისა მიერ შევიმოსეთ დიდება.
გისაროდენ, სძალო უსძლოთ:

კონდაკი 5.

ღმრთივ მავალისა ვარსკულავისა მხილუელნი მოგუნი მისსა შეუდგეს ბრწყინვალებასა, და ვითარცა სანთლისა მპყრობელნი მისნი, მის მიერ ეძიებდეს ძლიერსა მეუფესა, და მისწუთეს რა მიუწოთმელსა, განიხარეს მკმობელთა, ესრეთ: ალელუია:

იკოსი 5.

იხილეს ყრმათა ქალდეველთასა, ჳელთა ზედა ქალწულისათა, ჳელითა დამბადებელი კაცთა, და მეუფედ მცნობელნი მისნი, დადაცათუ ხატი მონისა მიიღო ისწრაფდეს ძღუნითა მსახურებად მისა, და დაღადაებად კურთხეულისა:

- გიხაროდენ, ვარსკულავისა დაუღამებელისა დედაო.
- გიხაროდენ, ცისკარო საიდუმლოსა დღისაო.
- გიხაროდენ, საწმილისა საცთურისასა დამაცხრობელო.
- გიხაროდენ, სამებისა მესაიდუმლოეთა მცუელო.
- გიხაროდენ, მძღაგრთა კაცთმოძუელთა მთავრობისა განმდევნელო.
- გიხაროდენ, უფლისა კაცთმოყუარისა ქრისტეს გამომაბრწყინებელო.
- გიხაროდენ, სიხენეშისა საქმეთაგან გამომკსნელო.
- გიხაროდენ, ბარბაროზთა ჰსჯულისა დამკსნელო.
- გიხაროდენ, ცეცხლის თაყუანის-ცემისა დამაცხრობელო.
- გიხაროდენ, აღისა ვნებათასა დამშრეტელო.
- გიხაროდენ, სპარსთა სიწმიდისა მასწავლელო.
- გიხაროდენ, ყოველთა ნათესავთა მხიარულ-მყოფელო.
- გიხაროდენ, სძალო უსძლოო:

კონდაკი 6.

ქადაგ ღმერთშემოსილ-ქმნილნი მოგუნი, მიიქცეს ბაბილოვნად, სრულ-ჰყუეს რა წინა-უწყებად შენი, და ჰქადაგეს ყოველთა შორის ქრისტედ, დამტევებელთა ჰეროდისთა, ვითარცა მოკიცხულისა არმეცნიერისათა, გაღობად ესრეთ: ალელუია:

იკოსი 6.

გამობრწყინდი რა ეგვიპტეს შინა ნათელი ჰქმმარიტებისა, განჰსდევნე ბნელი ტყუილისა, რამეთუ კერპნი მისნი მაცხოვარ, ვერ თავსმდებელნი ძალისა შენისანი დაეცნეს, ხოლო მათგან ჳსნილნი ჰკმობდეს ღმრთისმშობელისა მიმართ:

- გიხაროდენ, აღმართებაო კაცთაო.
- გიხაროდენ, დაცემო ეშმაკთაო.
- გიხაროდენ, საცთურისა ცთომილებისა დამთრგუნელო.
- გიხაროდენ, კერპთა ზაკულებისა მამხილებელო.
- გიხაროდენ, ზღუასა საცნაურისა ფარაოს დამნთქმელო.
- გიხაროდენ, კლდეო წყურიელთათუც ცხოურებისა მწდეველო.
- გიხაროდენ, სუეტო ცეცხლისაო წინამძღუარო ბნელისათაო.

გიხაროდენ, სოფლისა საფარუელი უვრცელესო ღრუბელთაო.
გიხაროდენ, საზრდელი მონაცუალეო მანანასაო.
გიხაროდენ, მსახურო საშუებელისა წმიდისაო.
გიხაროდენ, ქუეყანაო აღთქმისაო.
გიხაროდენ, რომლისაგან ჰსდის სძე და თაფლი.
გიხაროდენ, სძალო უსძლოო:

კონდაკი 7.

გულებოდა რა სუმონს აქადსა საცთურიანისაგან საუკუნოსად მიცუალეობა, მიეცი მას ვითარცა ჩნული, არამედ ღმერთადცა სრულად საცნაურ იქმენ მისა, რომლისათვისცა განჰკურდა შენსა გამოუთქმელსა სიბრძნესა ზედა, მკმობელი: ალელუია:

იკოსი 7.

ახალი აგებული გუეზუნა, გამოჰსჩნდა რა აღმგებელი ჩუენი მის მიერ ქმნულთა, უთესლოსაგან აღმოცენებულმან ნაყოფმან, და მცუელმან მისმან ვითარ იყო უხრწნელად, რათა საკურუელებისა მხილველნი უგალობდეთ მას კმობით:

გიხაროდენ, ყუავილო უხრწნელებისაო.
გიხაროდენ, გურგუნო კრძალულებისაო.
გიხაროდენ, აღდგომისა ხატო ბრწყინუალეო.
გიხაროდენ, ანგელოსთა ცხოურებისა გამომაჩინებელო.
გიხაროდენ, ხეო ნაყოფ-ელუარეო, რომლისაგან იზრდებიან მორწმუნენი.
გიხაროდენ, ნერგო კეთილ-ჩრდილ ფურცელოვანო, რომლისა ქუეშე დაიგრილებენ მრავალნი.
გიხაროდენ, მუცლად მღებელო გამომხსნელისა ტყუეთასაო.
გიხაროდენ, ნაყოფად გამომღებელო წინამძღუარისა შეცთომილთასაო.
გიხაროდენ, მსაჯულისა მართლისა სავედრებელო.
გიხაროდენ, მრავალთა ცოდუათა შესანდობელო.
გიხაროდენ, სამოსელო შიშუელთაო უხრწნელო.
გიხაროდენ, წადიერებო ყოველთა სურვლთა მძლეო.
გიხაროდენ, სძალო უსძლოო:

კონდაკი 8.

უცხოსა შობისა მხილველნი უცხო ვიქმნეთ სოფლისა, ზეცად მიცუალეებულნი გონებითა, რამეთუ ამისთვის მადალი ქუეყანასა ზედა გამოსჩნდა მდაბლად კაცად, მგუღვებელი მიზიდვსა სიმადლედ მიმართ თუსთა მდაღადებელთასა: ალელუია:

იკოსი 8.

ყოველად იყო ქუეყანისათა თანა, და ზენათაგან ყოველად არა მოკლებულ იყო, გარე შემოუწერელი სიტყუა, რამეთუ თანა-შთამოსლუა ღმრთაებრი, და არა ცუალება იქმნა, ადგილებრი შობა ქალწულისაგან ღმრთივიმადლებულისა მსმენელისა ამათისა:

- გიხაროდენ, ღმრთისა დაუტევნელისა დამტევნელო.
- გიხაროდენ, პატიოსნისა საიდუმლოსა კარაო.
- გიხაროდენ, ურწმუნოთა იჭუეულო სასმენელო.
- გიხაროდენ, მორწმუნეთა უეჭველო სიქადულო.
- გიხაროდენ, საყდარო ყოველადწმიდაო ზესთა ქერუბიმთასაო.
- გიხაროდენ, სავანეო ყოველადწმიდაო სერაბიმთა ზედა განსუენებულისაო.
- გიხაროდენ, წინააღმდგომთა იგივეობად მომყუანებელო.
- გიხაროდენ, ქალწულებისა და შობისა შემაუღლებელო.
- გიხაროდენ, რომლისა მიერ დაიჯსნა გარდასლუაჲ.
- გიხაროდენ, რომლისა მიერ განელო სამოთხეჲ.
- გიხაროდენ, კლიტეო ქრისტეს სამეფოსაო.
- გიხაროდენ, სასოებაო კეთილთა საუკუნეთაო.
- გიხაროდენ, სძალო უსძლოო:

კონდაკი 9.

ყოველი ბუნებაჲ ანგელოსთა განაკურუა, დიდმან განკაცებისა შენისა საქმემან, რამეთუ შეუხებელსა ვითარცა ღმერთსა გხედვდეს ყოველთა შესახებელად, კაცად უკუე ჩუენ თანა მქცველად, ხოლო მსმენელად ყოველთა მიერ ესრეთ: აღელუია:

იკოსი 9.

რიტორთა მრავალ-ჯმათა, ვითარცა თევზთა უჯმოთა ვჰხედავთ შენდამი ღმრთისმშობელო, რამეთუ უღონო არიან თქმად, თუ ვითარ ქალწულადცა ჰგიე, და შობად შეუძლე, ხოლო ჩუენ საიდუმლოსა ამის ძლით განკურუებულნი სარწმუნოებით ვჰჯმობთ:

- გიხაროდენ, სიბრძნისა ღმრთისა სავანეო.
- გიხაროდენ, წინაგანგებისა მისისა სასწაულო.
- გიხაროდენ, ფილოსოფოსთა სულელად გამომაჩინებელო.
- გიხაროდენ, სიტყუა-ჯელოვანთა უსიტყუებისა მამხილებელო.
- გიხაროდენ, რამეთუ სულელ იქმნეს მრავალ-ღონენი და გამომეძიებელნი.
- გიხაროდენ, რამეთუ დაჰსჯნეს მოქმედნი იგი ზღაპართანი.
- გიხაროდენ, ათინელთა თხზულებისა განმხეთქელო.
- გიხაროდენ, მეთევზურთა ბადეთა აღმავსებელო.
- გიხაროდენ, სიღრმით უმეცრებისათ აღმომყუანებელო.
- გიხაროდენ, მრავალთა მეცნიერებითა განმანათლებელო.
- გიხაროდენ, ნავო მნებებელთა ცხოუნებისაო.

გიხაროდენ, ნავთსაყუდელი საწუთოსა შინა დელუა-გუემულთაო.
გიხაროდენ, სძალო უსძლოო:

კონდაკი 10.

ცხოუნება რა სოფლისა ინება ყოველთა შემოქმედმან, ამისდა მომართ თუთ აღძრუთ მოი-
წია, და რომელი მწყემსი იყო ვითარცა ღმერთი ჩვენთუს გამოჰსჩნდა და მსგავს ჩუენდა იქმნა,
რამეთუ მსგავსითა მსგავსსა მოუწოდა ვითარცა მნებებელმან სმენად: ალელუია:

იკოსი 10.

ზღუდე ხარ ქალწულთა ღმრთისმშობელი ქალწულო, და ყოველთა შენდა მოღვოლ-
ვითა, რამეთუ ზეცისა და ქუეყანისა დამბადებელმან აღგაშენა შენ უხრწნელო, დაემკვდრა რა
საშოსა შენსა, და ასწავა ყოველთა კმობად შენდამი:

- გიხაროდენ, ძეგლო ქალწულებისაო.
- გიხაროდენ, ბჭეო ცხოურებისაო.
- გიხაროდენ, დასაბამო საცნაურისა აღმოდებადებისაო.
- გიხაროდენ, მომნიჭებელი ღმრთაებრისა სახიერებისაო.
- გიხაროდენ, რამეთუ შენ გონიერ-ჰყუენ ცთომილნი გონებითა.
- გიხაროდენ, რამეთუ შენ გულისკმეირ-ჰყუენ შეცთომილნი პირველ.
- გიხაროდენ, ხრწნილებისა საგრძნობელთასა უჩინო-მყოფელი.
- გიხაროდენ, დამთესუელსა უბიწოებისასა მშობელი.
- გიხაროდენ, სასძლოო უთესლოსა სძლობისაო.
- გიხაროდენ, მორწმუნეთა უფლისათა სამკაული.
- გიხაროდენ, შეუენიერო სიკეთეო ქალწულთაო.
- გიხაროდენ, სულთა წმიდათა სასძლოო შესამოსელი.
- გიხაროდენ, სძალო უსძლოო:

კონდაკი 11.

გალობა ყოველი იძლევის თანა-განვრცომად, მოსწრაფე სიმრავლისა ფრიად მოწყალებათა
შენთასა, რიცხუელთა ფსალმუნთა და საგალობელთა, რომელთა შევჰსწირავთ შენდა წმიდაო
მეუფეო, რამეთუ ვერარას სრულ-გჰყოფთ ღირსსა, რომელნი მომცენ მღაღადებელთა შენთა: ალე-
ლუია:

იკოსი 11.

ნათლისა მტვრთუელად, ლამპრად ბნელისათუს გამოჩინებულად, ვჰხედავთ წმიდასა ქალ-
წულსა, რამეთუ უნივთოთა ნათლითა მნთებარე საღმრთოუსა მეცნიერებისა მიმართ მიძღუს ყოვ-
ელთა ცისკარი განმანათლებელი გონებისა, ხოლო დადადებით პატივცემული ესრეთ:
გიხაროდენ, შარავანდელი საცნაურისა მზისაო.

გიხაროდენ, ღამპარო დაუვალისა ნათლისაო.
გიხაროდენ, ელვაო სულთა განმანათლებელო.
გიხაროდენ, ქუხილო მტერთა განმკუთელო.
გიხაროდენ, რამეთუ მრავალ-ნათელსა აღმოაბრწინებ განათლებასა.
გიხაროდენ, რამეთუ მრავალ-ნექტარსა აღმოაცენებ მდინარესა.
გიხაროდენ, ემბაზისა მსგავსსა გამომხატელო.
გიხაროდენ, ცოდვსა ბიწისა წარმღუნელო.
გიხაროდენ, საბანელო განმწმედელო სუნიდისისაო.
გიხაროდენ, ტაკუკო განზავებულსა სიხარულითა.
გიხაროდენ, მირონო ქრისტეს სუნნელებისაო.
გიხაროდენ, ცხოურებისა საიდუმლოსა სერობაო.
გიხაროდენ, სძალო უსძლოო:

კონდაკი 12.

მადლის მიცემისა მნებებელი, შეცოდებათა პირუელთა ყოველთა კაცთა ვალისა დამკსნელი მოვიდა თავისა მიერ თვისისა მადლისა მისისა განშორებულთა მომართ, და განჰხეთქა რა ჳელით-წერილი, ესმის ყოველთა მიერ ესრეთ: აღელუია:

იკოსი 12.

მგალობელნი შობისა შენისანი შეგასხამთ შენ ყოველნი, ვითარცა სულიერსა ტაძარსა ღმრთისმშობელო, რამეთუ შენსა დაემკვდრა საშოსა, მპყრობელი ყოველთა ჳელითა უფალი, განჰსწმიდა და ადიდა და ასწავა ყოველთა დაღადებად შენდა:

გიხაროდენ, კარო ღმრთისა სიტყვსაო.
გიხაროდენ, წმიდისა წმიდათასა უადრესო.
გიხაროდენ, კიდობანო ოქროვან-ქმნილო სულითა.
გიხაროდენ, საუნჯეო ცხოურებისაო დაულევნელო.
გიხაროდენ, პატიოსანო გურგუნო მეფეთა კეთილ-მსახურთაო.
გიხაროდენ, სიქადულო წარჩინებულსა კრძალულთა მღუდელთაო.
გიხაროდენ, ეკკლესიისა შეურყეველო გოდოლო.
გიხაროდენ, მეფობისა დაურღუეველო ზღუდეო.
გიხაროდენ, რომლისა მიერ აღჰსდგენ ბაძუანი.
გიხაროდენ, რომლისა მიერ მტერნი დაეცემიან.
გიხაროდენ, ნათლისა ჩემისა სრულებაო.
გიხაროდენ, სულისა ჩემისა სასოებაო.
გიხაროდენ, სძალო უსძლოო:

კონდაკი 13.

ჰოდ ყოვლადსაგალობელო დედაო მშობელო ყოველთა წმიდათა უწმიდესისა სიტყუსა, მიმ-
თუალუელმან აწინდელისა ამის ძღუნისამან, ყოვლისა განსაცდელისაგან იკსნენ ყოველნი, და
მერმისა სატანჯუელისაგან გამომიკსნენ, მღალადებელნი ესრეთ: აღელუია:

ეს მუხლი 3-ე ზის სოქვი და კვალად იკოსი 1 და კონდაკი 1.

locva

მიიღე ყოვლადკეთილ-მოდუაწყო, ყოვლადწმიდაო დედოფალო, ესე პატიოსანი ძღუენი, შენ
მხოლოსათუს ჩუენ მიერ უღირსთა მონათა შენთაგან. ყოველთაგან ნათესავთა გამორჩეულო, ყოვ-
ელთაგან არსთა ზეცისათა და ქუეყანისათა უმაღლესად გამოჩინებულო. ამისთვისცა ხოლო შენ
მიერ იქმნა უფალი ძალთა ჩუენთანა, და შენ მიერ ძე ღმრთისა ვიცანთ, და ღირს-ვიქმნენით წმი-
დასა ჳორცსა მისსა და პატიოსანსა სისხლსა მისსა. ამისთვისცა ნეტარ ხარ თესლითი თესლად-
მდე ღმრთივსანატრელო, ქერუბიმთა უბრწყინუალესო, სერაბიმთა უპატიოსნესო მხოლოო. და აწ,
ყოვლადსაგალობელო ღმრთისმშობელო ქალწულო, ვედრებად ჩუენ უღირსთა მონათა შენთათუს
ნუ დაჰსცხრები, რათა ვიკსნნეთ ჩუენ ყოვლისაგან ზრახუსა ბოროტისა, გარემოდგომილისა ვნე-
ბისა, დავიცუნეთ უჭირველად ყოვლისაგან შემჭამელისა საბრჯისა ეშმაკათასა. არამედ ვითარმე
აღსასრულადმდე ვედრებითა შენითა დამიცუენ ჩვენ, რათა შენითა შუამდგომელობითა და შეწვე-
ნითა ცხოუნებული, დიდებასა, ქებასა, და მადლობასა, და თაყვანის-ცემასა ყოველსა ზედა, ყოვ-
ლისათუს, სამებისა წმიდისა, და ყოველთა შემოქმედისა აღუავლენდე, აწ და მარადის და უკუ-
ნითი უკუნისამდე. ამინ.

ჰოი, დიდო მეუფეო, ყოვლისა მპყრობელო, მოწყალეო უფალო იესო ქრისტე, ღმერთო
ჩუენო. აჰა ვედრებად შენდა მე ფრიად ცოდული აღვჰსძრავ დედასა შენსა ყოვლადუბიწოსა, ყოვ-
ლადწმიდასა დედოფალსა, ქალწულსა ღმრთისმშობელსა, ყოვლადმოწყალესა, ყოვლისა სოფლისა
მევედრებელსა, ნათესავისა ქრისტიანეთასა, შენსა ჩვენდა მშობელსა ჳორციელად ღმრთისა
ჩუენისა, აურაცხელისათუს მოწყალებისა შენისა, რომელი ჩვენ ზედა ჰყავ. მისითა უკუე ვედრე-
ბითა, იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, ჩემ უღირსსა ზედა დიდი მადლი და წყალობა შენი აჩუენე,
და მოტევებად ცოდვათა მომძადლე მე, და ღირს-მყავ მე დამკვდრებად სასუფეველსა შენსა, ყოვ-
ელთა თანა წმიდათა, დაუსრულებელთა საუკუნეთა უკუნისამდე. ამინ.

tropari iveriis RmrTismSoblis xatisa

წმიდისაგან ხატისა შენისა, ჰოდ დედოფალო ღმრთისმშობელო, სიმრთელენი და კურნებანი
უხუად მოეცემიან ყოველთა სარწმუნოებით და სიყვარულით მისდა მოღტოლვილთა, ამისთვის
ჩემსაცა უძღურებასა მოხედე და შეიწყალე სული ჩემი, სახიერო, ხოლო ხორციით განმკურნე
მადლითა შენითა ყოვლადწმიდაო.

დაღაცათუ ზღუად შთაგდებულ იქმნა წმიდა ხატი შენი ღმრთისმშობელო ქვრივისა მიერ, რომელმანცა ვერ ძალ-იდუა დაფარვაჲ მისი მტერთაგან, გარნა გამოჩნდა იგი მფარუელად ათონისა და მეკარედ ივერიელთ საგანისა; შიშად მტერთა, ხოლო მართლმადიდებელთა საქრისტიანოთა შინა, შენთა პატივისმცემელთა მხსნელად ყოველთაგან ვნებათა და ზედა მოსვლათაგან.

gamoyenebuli literatura

"ბეთანიის მონასტერი", არქიმანდრიტი ლაზარე.

"გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება", გიორგი მცირე. ქართული მწერლობა, ტომი I. თბილისი, 1987.

"გიხაროდენ, სახიერო მეკარეო... მოთხრობები ივერიის ღმრთისმშობლის ხატის შესახებ". მოსკოვი, 1997 (რუსულ ენაზე).

"დედა ღმრთისმშობლის სასწაულები". თბილისი, 1997.

"ზეციური საფარველი ათონის თავზე ანუ გადმოცემები ათონზე გაბრწყინებული წმიდა საკვირველთმოქმედი ხატების შესახებ". წმიდა სამების სერგის ლავრა, 1997 (რუსულ ენაზე).

"ივერთა მონასტერი ათონზე", ა. ნატროვეი. თბილისი, 1910 (რუსულ ენაზე).

"იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება", გიორგი მთაწმიდელი. ქართული მწერლობა, ტომი II. თბილისი, 1987.

"შიმოსლვა", ტიმოთე გაბაშვილი. ქართული მწერლობა, ტომი VIII. თბილისი, 1990.

"მსახურება და აკათისტო (დაუჯდომელი) ყოველად წმიდისა ღმრთისმშობლისა. პატივად და მოსახსენებლად გამოცხადებისა საკვირველ-მოქმედისა ხატისა მისისა, წოდებულისა ივერიისად. თარგმნილი რუსულიდგან ირაკლი ლორთქიფანიძისაგან". თბილისი, 1880.

"რუსეთის საზღვარგარეთის მღვდელმთავარი მსოფლიო საკვირველთმოქმედი იოანე". მოსკოვი, 1998 (რუსულ ენაზე).

"უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს მოციქულთა ცხოვრება". თბილისი, 1997.

"ქადაგებანი იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა". ქუთაისი, 1913.

"ქართლის ცხოვრება", ტომი I. თბილისი, 1955.

"ქართული კულტურის საზღვარგარეთული ძეგლები. ათონი, ჯვარი, პეტრიწონი", ბორის კანდელაკი. თბილისი, 1980.

"ღმრთისმშობლის ივერიის მონრეალის საკვირველთმოქმედი მირონმდინარე ხატი". მოსკოვი, 1998 (რუსულ ენაზე).

"წმიდანთა ცხოვრება", წმიდა დიმიტრი როსტოველის რედაქციით. მოსკოვი, 1914 (რუსულ ენაზე).

"ხატი – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დიდება", არქიმანდრიტი რაფაელი. თესალონიკი, 1994 (რუსულ ენაზე).

წიგნში ასევე გამოყენებულია გაზეთ "მრევლში" სხვადასხვა დროს დაბეჭდილი მასალა.

წინამდებარე ნაშრომში მოთხრობილია ივერიის ღმრთისმშობლის ხატის შესახებ, რომელიც თითქმის ათი საუკუნის წინ უფლის განგებულებით მოხვდა ათონის მთაზე და რომლის მეოხებითაც მრავალი სასწაული აღესრულა როგორც საკუთრივ ივერთა მონასტერში, სადაც ხატმა დაიგანა, ასევე მთელს მართლმადიდებელ სამყაროში, სადაც კი მისი ასლებია დასვენებული.

**wigni ibeWdeba urbnisisa da ruisis
mTavarepiskopos iobis locva-kurTxeviT**

mTargmnel-Semngeneli _ irakli kamkamiZe

redaqtori _ zurab qarTveliSvili

gamomcemlebi _ daviT IanCava, romanoz mZevaSvili

<p>წიგნის მე-15 გვერდზე გაიპარა შეცდომა: ივერთა მონასტრის მთავარი ტაძარი აღაშენა არა ღირსმა გიორგი მთაწმიდელმა, რომელიც იყო მთარგმნელი, არამედ ღირსმა გიორგი მაშენებელმა, ივერთა საგანის მესამე ილუმენმა. მე-16 გვერდზე კი არის შემდეგი შეცდომა: ღირსი გაბრიელ ქართველის თითი ინახება არა ივერთა მონასტერში, არამედ კარიესთან არსებულ ერთ-ერთ სენაკში.</p>	<p>წიგნის მე-15 გვერდზე გაიპარა შეცდომა: ივერთა მონასტრის მთავარი ტაძარი აღაშენა არა ღირსმა გიორგი მთაწმიდელმა, რომელიც იყო მთარგმნელი, არამედ ღირსმა გიორგი მაშენებელმა, ივერთა საგანის მესამე ილუმენმა. მე-16 გვერდზე კი არის შემდეგი შეცდომა: ღირსი გაბრიელ ქართველის თითი ინახება არა ივერთა მონასტერში, არამედ კარიესთან არსებულ ერთ-ერთ სენაკში.</p>
--	--